# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან


**ძვირფასო მკითხველო!**
4 ოქტომბრიდან, ხუთშაბათიდან ჩვენი გაზეთი 60 თეთრი ეღირება!


სამშაბათი, 2 ოქტომბერი. 2018 წ. №194 (8595) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## კახა კალაძე:
# სიცრუე და ძალადობა – ნაცების მთავარი ნიშანი!

„ქართული ოცნების“ ექვსწლიანი მმართველობა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე პარტიის გენერალურმა მდივანმა შეაჯამა. კერძოდ, მან თქვა:

**როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამ რეჟიმის ყველაზე მძიმე დანაშაულები იყო ძალადობა, კორუფცია, მედიის თავისუფლების ტოტალური შეზღუდვა, რუსეთისთვის ჩვენი ორი ისტორიული რეგიონის ჩაბარება. 2012 წლამდე ქართული სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა აღმოსავლური ტიპის დესპოტად, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო დასავლურ ღირებულებებთან. ქართველი ხალხის წინაშე ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულები მეხსიერებიდან არ იშლება. ამ დანაშაულთა გამო, ნაციონალურმა მოძრაობამ ქართველი ამომრჩევლისგან, „ქართული ოცნების“ და მისი სულისჩამდგმელის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, მიიღო საკადრისი პასუხი როგორც 2012 წელს, ისე ყველა შემდგომ არჩევნებში“.**

**ალიკვეთა ადამიანებზე ძალადობის პრაქტიკა, პატიმრების სისტემური წამება და გაუპატიურება, 12-ჯერ შემცირდა ციხეებში პატიმრების სიკვდილიანობა, ორნახევარჯერ შემცირდა პატიმრების რაოდენობა, სახელმწიფო აღარ უპირისპირებს სისასტიკეს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებას; აღიკვეთა ელიტური კორუფცია და ბიზნესის ტოტალური რეკეტის პრაქტიკა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი იყო; დასრულდა ხელისუფლების ტოტალური მონოპოლია მედიასაშუალებებზე. უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი ყველაზე მაღალი ევროპული სტანდარტით; თვისებრივად გაუმჯობესდა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხარისხი, გაღრმავდა სტრატეგიული თანამშრომლობა ევროკავშირთან, ნატოსთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. უზრუნველყოფილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. არასდროს საქართველო ისე ახლოს არ ყოფილა დასავლეთთან, როგორც დღეს,** – განაცხადა პარტიის გენერალურმა მდივანმა.



იხ. 3 გვ.

## ბიძინა ივანიშვილი:
# ექვსი წელიწადი აღმოჩნდა ძალიან ცოტა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია პრინციპულად შეცვლილიყო

**ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა მმართველ გუნდთან შეხვედრაზე განაცხადა.**

მისი თქმით, რაც დააშავეს „ნაციონალური მოძრაობის “ წევრებმა, ცდილობენ, გადააბრალონ „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნებისგან“ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს“.

**„დღეს პირველი ოქტომბერია. მოგეხსენებათ, პირველ ოქტომბერს ყველაზე რთული გამარჯვება მოიპოვა ჩვენმა გუნდმა ექვსი წლის წინათ შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ გავიხსენოთ და დღევანდელი რეალობა კიდევ ერთხელ შევაფასოთ.**

**სამწუხაროდ, ექვსი წელიწადი აღმოჩნდა ძალიან ცოტა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია პრინციპულად შეცვლილიყო. თუმცა, აბსოლუტური უმრავლესობა თქვენგან მონაწილეები ხართ და თუ არ მონაწილეობდით, კარგად გახსოვთ, რაც ხდებოდა 2012 წლამდე. 2012 წლის შემდგომ როგორ თანმიმდევრულად ვცვლით ჩვენ იმ სიმახინჯეებს და ქვეყანა ვითარდება და მიგვყავს სწორი მიმართულებით, მიუხედავად ამისა, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, დღეს ის ძალები, რომლებიც თავის დროზე მართავდნენ ქვეყანას, ჩვენდა სასირცხვილოდ, ცდილობენ, ისევ ვირტუალურ სამყაროში აცხოვრონ ჩვენი საზოგადოება“.**



**ირმა ინაშვილი:**
## გაოცებული ვარ ზაზა ოქუაშვილის ნაცური განცხადებებით!
12

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**
## საით მიცურავს რუსულ-სომხური „ნოეს კიდობანი?“...
8



**გური ოტობაია:**
## სიცოცხლე-მისჯილი
6



## ღვთივ კალამ-დალოცვილი
**თამაზ ჭილაძე**
11




# ვაა „გირჩს“, ვია „იმედს“!
## ანუ ჩვენისთანა პრეზიდენტი ქვეყნად არსად ეყოლება...

**როგორც ტელევიზიაში მუშაობის ოცწლიანი სტაჟის მქონე ჟურნალისტს, ბარე ორი კარგი ტელეგადაცემა მინახავს, საუცხოოც, მაგარიც, მაგრამ იმან, რაც პარასკევს, 28 სექტემბერს ტელეარხ „იმედის“ ეკრანზე ვიხილე („სიცრუის დეტექტორი“), ნამდვილად გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს.**

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ რატომღაც (არც სიტყვიერად და არც ტიტრით) არ წარუდგენიათ წამყვანის ვინაობა, რომელმაც შესანატრი ოსტატობა გამოიჩინა და ისე ძალდაუტანებლად გააშიშვლა მაყურებლის წინაშე პრეზიდენტობის ერთ-ერთი მოსურნე, „გირჩის“ დამაარსებელი, ბატონი ზურაბ ჯაფარიძე, რომ ეს უკანასკნელი აზრზეც არ მოსულა.

დავიწყოთ იმით, რომ შოუს ინტერესს ისიც ზრდიდა (ისიც კი არადა, მეტწილად!), რომ თამაში ფულზე იყო, თანაც, საკმაოდ სერიოზულზე – 100 000 ლარი!

თამაშში მონაწილეობდნენ: წამყვანი, თავად ზურაბ ჯაფარიძე, მშვენიერი ქალბატონი (ჯაფარიძის მეუღლე) და მისი ბავშვობის მეგობარი. ეს სამი პიროვნება პასიური მონაწილენი გახლდნენ.

მაშ ასე, დავიწყოთ:

**კითხვა:** – პატრიოტად თვლით თავს? – დიახ.

**კითხვა:** – იუმორის გრძნობა გაგაჩნიათ? – დიახ.

**კითხვა:** – სამსახურებრივ სივრცეში მასტურბაციით (ონანიზმით, მდაბიურად – დანძრევით. – გ.ზ.) დაკავებულხართ? – კი.

(აქ ყველას სიცილი წასკდა – მეუღლესაც, მეგობარსაც, წამყვანსაც, დარბაზსაც. სავარაუდოდ, მაყურებლებსაც).

**კითხვა:** – მართლმადიდებელი ხართ? – მე ქრისტიანი ვარ. რამდენად ვარ მართლმადიდებელი, ვერ ვიტყვი.

**კითხვა:** – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თქვენთვის ავტორიტეტს წარმოადგენს? – არა. მას შეეძლო ძალადობას წინ აღდგომოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. უფრო საკუთარ იმიჯზე მუშაობდა.

**წამყვანი:** (გაოცებული) – ვერ დაგეთანხმებით, რომ უწმინდესი ძალადობის მქადაგებელი იყოს!

**კითხვა:** – ერთსქესიანთა ქორწინებას მხარს დაუჭერდით? – დიახ.

**კითხვა:** – როგორ ფიქრობთ, არსებობს თქვენი დასაშანტაჟებელი ინფორმაცია? – კი.

**წამყვანი:** – (ინტერესით) რა სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს ეს? – ვთქვათ, როგორ შევდივარ ტუალეტში.

იხ. 2 გვ.

## მე მართლაც შევხვდი მას...

ბიძინა ივანიშვილი ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილთან შეხვედრის ფაქტს ადასტურებს.

**„მე მართლაც შევხვდი მას ერთჯერ და მართლაც დავეხმარეთ ჩვენ ისევე როგორც ვეხმარებით ყველა ბიზნესს და მე ეს ვალდებულება დღესაც გამაჩნია. ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც მოდის ჩემამდე, ან მიდის პრემიერამდე, ან ხელისუფლების რომელიმე ნაწილთან, ყველას აქვს იგივე განცდა, რომ ჩვენ მაქსიმალურად დავეხმაროთ ბიზნესს. სხვა დანარჩენი ღიმილის მომგვრელია მხოლოდ. ჩანაწერების ოსტატი ყოფილა ეს კაცი, ყველას და ყველაფერს იწერდა. რატომღაც ეს ჩანაწერი არა აქვს“,** — განაცხადა ივანიშვილმა და თავის გუნდის წევრებს მითითება მისცა, რა უნდა უპასუხონ ოქუაშვილთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე: **„თუ ვინმეს შეგეკითხებიან და გკითხავენ წუხანდელ გადაცემაზე, პირველი რაც უნდა უპასუხოთ, არის რომ, სადაა ჩანაწერები, ყველას იწერდნენ და გამოიტანოს ეს ჩანაწერებიც და გვაჩვენოს“** — მიმართა გუნდს ივანიშვილმა.

## თქვენ 4 ლარისთვის გაისვრით ხელს სადმე? 4 მილიონი მილიარდერისთვის, ფაქტობრივად, იგივეა



**ერთი რამ მითხარით, თქვენ 4 ლარისთვის გაისვრით ხელს სადმე? აი, ტალახში რომ დაინახოთ, 4 ლარს აიღებთ? ხომ არ აიღებთ? 4 მილიონი მილიარდერისთვის, ფაქტობრივად იგივეა,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის ინტერვიუსთან და ასევე, „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშრებით განაცხადა, რომლის მიხედვითაც, ბიძინა ივანიშვილის დავალებით ოთარ ფარცხალაძემ სპორტის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი სარდაფში ჩაკეტა და დაემუქრა, რაც, ოქუაშვილის თქმით, „ომეგა ჯგუფისთვის“ ქრთამის სახით მოთხოვნილ 4 მილიონს უკავშირდებოდა.

ქანთარიას განცხადებით, **„ეს არის, რა თქმა უნდა, შეთითხნილი, ძალიან ტრაფარეტული, არცთუ ისე ნიჭიერად გაკეთებული, რომ ხუთი წლის წინ თურმე გაუტყავებიათ და გადასახადებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი, კაცი თურმე პატიოსნად იხდის გადასახადებს, მაგრამ დააწვნენ და ნუ, ბიძინას 4 მილიონი ჰაერივით სჭირდებოდა“.**

**„ერთი რამ მითხარით, თქვენ 4 ლარისთვის გაისვრით ხელს სადმე? აი, ტალახში რომ დაინახოთ, 4 ლარს აიღებთ? ხომ არ აიღებთ? 4 მილიონი მილიარდერისთვის, ფაქტობრივად, იგივეა. ის ახმარებს ამდენ ქველმოქმედებას და 4 ლარი გამოსწოვა თურმე ამდენი დიდი წვალების შემდეგ ასეთ ტანჯულ პერსონაჟს, ყველაფერი გასაგებია მგონი, მაგრამ აუცილებელია, რომ პროკურატურამ და საგამოძიებო ორგანოებმა ძალიან გულუბრყვილო, ბრაზილიური სერიალების მოყვარულ ხალხს აჩვენოს და მათ ჰქონდეთ ყველა პასუხი აუცილებლად“,** — განაცხადა ქანთარიამ.

## ზაზა ოქუაშვილის განცხადება შევა ანეკდოტების სიაში



**ჩემი რეაქცია არის ძალიან მარტივი, აღნიშნული განცხადება შევა ანეკდოტების სიაში, რომელსაც ჩვენ არაერთხელ შევხვედრილვართ, რომ ორსართულიანი მატარებელი გვირაბში ვერ გაეტევა, კახი კალაძე ვერტმფრენით გაფრინდა ყაზახეთში,** - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის ინტერვიუსთან და ასევე, „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშრებით განაცხადა. მისი თქმით, ასეთი ტიპის განცხადებაა ესეც. მისივე განცხადებით, „ანეკდოტურია, ღიმილის მომგვრელია. ბიძინა ივანიშვილი ფულს სთხოვს მეწარმეს, რომ გადაიხადოს“.

რაც შეეხება ლევან ყიფიანთან დაკავშირებულ საკითხს, მამუკა ბახტაძე აცხადებს, რომ ჩანაწერების საკითხს პროკურატურა იძიებს.

**„პროკურატურა იძიებს ამ ჩანაწერებს. თუ მოქალაქე ლევან ყიფიანს აქვს დამატებითი ინფორმაცია, მას შეუძლია, მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს. საქართველოში არ არსებობენ ხელშეუხებელი პიროვნებები, არსებობს კანონის უზენაესობა, არსებობს სასამართლო, ქართველი საზოგადოება, რომელიც ამ ყველაფერს შეაფასებს და ეს კითხვა ლევან ყიფიანს უნდა დაუსვათ“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

## ყველა კითხვას გაეცემა პასუხი თბილისშიც, ლონდონშიც და ბატონი ოქუაშვილი თუ ისურვებს, ბომბეიშიც

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ოქუაშვილის განცხადებებს ერთი მსახიობის თეატრსა და ღიმილის მომგვრელს უწოდებს. მისივე თქმით, ოქუაშვილს მოუწევს თითოეული თეთრისა და ლარის გადახდა, რომელიც ბიუჯეტში აქვს გადასახდელი.**



რაც შეეხება შეხვედრას, რომელზეც ოქუაშვილმა ისაუბრა, გახარიამ თქვა, რომ ეს შეხვედრა ნამდვილად შედგა.

**„შეხვედრა შედგა. მაშინ ვიყავი ბიზნესომბუდსმენი, როგორც ჩანს, ვიყავი ძალზე ძლევამოსილი ბიზნესომბუდსმენი, მაგრამ ვერ ვგრძნობდი. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და იმ გაუბედურებული კომპანიის მხარდაჭერა, რომელმაც, როგორც ჩანს, ამ პერიოდში სამწუხაროდ, დააგროვა ვალი ბიუჯეტში. პირადად ჩემს ყველა ვალდებულებას გავცემ პასუხს ყველგან — ლონდონშიც, თბილისშიც და ბომბეიშიც. ოქუაშვილი გადაიხდის თითოეულ თეთრსა და ლარს საქართველოს ბიუჯეტში, რაც ეკუთვნის“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

## ჩვენი ბანკის მიმართ „ომეგა ჯგუფს“ აქვს დავალიანება, რომელიც ჯამურად 84 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს

როგორც „საქართველოს ბანკის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, „ომეგა ჯგუფი“ ბანკის მიმართ ვალდებულებებს 2016 წლიდან მოყოლებული არ ასრულებს და ამ დავალიანებასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა.

**„საქართველოს ბანკი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ სს „საქართველოს ბანკის“ მიმართ „ომეგა ჯგუფს“ აქვს დავალიანება, რომელიც ჯამურად 84 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. „ომეგა ჯგუფი“ ბანკის მიმართ ვალდებულებებს 2016 წლიდან მოყოლებული არ ასრულებს და ამ დავალიანებასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობს დავა. „ომეგა ჯგუფის“ წარმომადგენლები მიზანმიმართული ქმედებებით მაქსიმალურად ცდილობენ სასამართლო პროცესის გაჭიანურებას. ამასთან „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის და მფლობელის ზაზა ოქუაშვილის მცდელობა, ორ კერძო კომპანიას შორის სამართლებრივი დავა გადაიყვანოს პოლიტიკურ ჭრილში — საქართველოს ბანკისთვის მიუღებელია. საქართველოს ბანკი კვლავ გამოიყენებს დავალიანების ამოღების მის ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ შესაძლებლობას“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## ზაზა ოქუაშვილის განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს



ზაზა ოქუაშვილის პირდაპირ ეთერთან დაკავშირებით თიბისი ბანკი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„თიბისი ბანკი აცხადებს, რომ ბატონი ზაზა ოქუაშვილის განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს და წარმოადგენს მცდარი ინფორმაციის გავრცელების მცდელობას. თიბისი ბანკისთვის უმთავრესი მნიშვნელობის არის კლიენტების ნდობა და ყველა აუცილებელი წესისა და პროცედურის დაცვა, რომელიც კლიენტის ფულის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. ბანკი უმაღლესი სიმკაცრით იცავს კომერციული ბანკებისთვის დადგენილ ყველა მოთხოვნას.**

**ბატონი ოქუაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, თიბისი ბანკი განმარტავს, რომ ბანკში ყველა ტრანზაქცია სრულდება სამუშაო საათებში, კლიენტის ანგარიშების გახსნისა და წარმოების ყველა წესის დაცვით. თიბისი ბანკს გააჩნია კანონიერი ვალდებულება დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემები და საბანკო საიდუმლოება, ამიტომ ბანკის მხრიდან დაუშვებელია კონკრეტული ტრანზაქციისა და კლიენტის შესახებ დეტალების გასაჯაროება.**

**თიბისი ბანკი მიმართავს ყველა სამართლებრივ ზომას აღნიშნული ცრუ ინფორმაციის მასშტაბირების საპასუხოდ“,** — აღნიშნულია განცხადებაში.



## ახლავე ავირჩიოთ, ემანდ არ გადაიფიქროს!

# ვაჰა „გირჩს“, ჰოჰა „იმედს“!

(პირველი გვერდიდან)

**წამყვანი:** (ტუალეტში შესვლა რატომაა შანტაჟის საგანი? — მე არ ვისურვებდი, ეს რომ ეჩვენებინათ). ჩვენდათავად დავძენთ, ბატონო ზურა, დელიკატური შეკითხვა მაინც არ გსმენიათ — „სადაც მეფენი თავისი ფეხით დადიანო“?!

**წამყვანი:** — თქვენი მშობლები მიგაჩნიათ ავტორიტეტებად? — არა. ისინი საბჭოურ ხანაში ჩამოყალიბებული ადამიანები არიან, თუმცა, მე მათ პატივს ვცემ იმის გამო, რომ ძალმომრეობის, დასმენებისა და რეპრესიების ეპოქაშიც კი მოახერხეს და თავისუფალ ადამიანად აღმზარდეს.

ასე ნელ-ნელა იმატა და იმატა მოგებულმა თანხამ და როდესაც ათიათასს ასცდა, მაშინ ულალატა ქვეცნობიერმა და...

**კითხვა:** — დიდი ფულის სანაცვლოდ პოლიტიკიდან წახვიდოდით? — არა!

სახეზე უკვე დაეტყო ოდნავ შესამჩნევი მღელვარება. გაინაბა ყველა — წამყვანიც, მეუღლეც, მეგობარიც, დარბაზიც, დარწმუნებული ვარ, ტელემაყურებლებიც და ნახევარწუთიანი, გულისგამაწვრილებელი ლოდინის შემდეგ, სიცრუის მუხთალმა დეტექტორმა შეაწყვეტინა აღმასვლა და ცარიელ-ტარიელი დატოვა.

თურმე, როგორ არა, ნაყვარება ტიპს დიდი ფული.

მახსოვს, ერთი ენაკვიმატი, პირწავარდნილი მარიაჟი თანაკლასელი მყავდა და ყველას დასცინოდა ხოლმე. ერთხელაც, ნონიაშვილს მიადგა, აშაყირა და აგლახავა.

ბრაზი მოერია დანიელას, წამოწითლდა, შესვენება იყო და ჩადგა გასაქცევად კარში და დააყარა და დააყარა მარიაჟს — რითი მჯობიხარ, რითი, ყველაფერში რო სამიანი მაქ და შენ ხუთიანები, იმით მჯობიხარ?! მამაჩემი რო პატიოსანი ბიბლიოთეკარია და მამაშენი — წვენების ქარხნის დირექტორი, იმით?! მითხარი, რითი მჯობიხარ, მე რომ გოგოები ზედ არ მიყურებენ და შენ რომ ხელთათმანებივით იცვლი ლამაზებს, ამით?!

კაცმა რომ თქვას, მეტი რითი უნდა ეჯობნა, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ დანიელამ თავისი პირით ჩამოთვალა ყველა არგუმენტი.

„გირჩის“ უფალმა დამფუძნებელმა თავისი პირით საჯაროდ აღიარა, რომ მონათლული კია, მაგრამ არ იცის, მართლმადიდებელია თუ არა. სწამს ღმერთის არსებობა, უწმინდესი მისთვის ავტორიტეტი არ არის, ასევე არ მიაჩნია ავტორიტეტებად საკუთარი მშობლები, ონანიზმის გემო იცის, არსებობს მისი დაშანტაჟების ინფორმაცია, ნარკოტიკებიც მიუღია ხოლმე, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას მიესალმება და დიდი სურვილი აქვს, გახდეს გორგასლის, ცურტაველის, რუსთაველის, აღმაშენებლის, ქეთევან წამებულის, გიორგი ბრწყინვალის, ილია ჭავჭავაძის მშობელი ქვეყნის პრეზიდენტი!

**გიზო ზარნაძე**

# სიცრუე და ძალადობა – ნაცების მთავარი ნიშანი!

(პირველი გვერდიდან)

„დღეს დემოკრატიული გარდატეხიდან 6 წლისთავზე, ჩვენ ვხედავთ ნაციონალური მოძრაობისა და მისი მედიასაშუალებების უსუსურ მცდელობას, „ქართულ ოცნებას“ დააბრალონ იმგვარი დანაშაულები, რომლებიც მათივე კრიმინალური პოლიტიკური ძალის ხელწერას განეკუთვნება. როგორც აღმოჩნდა, ტოტალიტარული აზროვნებისა და მართვის ორი ძირითადი პრინციპი – სიცრუე და ძალადობა – როგორც ადრე იყო, დღესაც რჩება „ნაციონალური მოძრაობის“ საფირმო ნიშნად. სწორედ ამიტომ არ იცვლის ხელწერას ერთ დროს ერთიანი და ახლა რეალურ თუ ყალბ მამრავლებად დაშლილი ეს პოლიტიკური ძალა. ნაციონალური მოძრაობა ფაქტების უხეში ფალსიფიკაციისა და ცილისწამების გზით ძალადობს ადამიანების ცნობიერებაზე, რათა ტოტალური უიმედობა დანერგოს ხალხში და რევოლუციური განწყობის იმიტირებით მოამზადოს ფონი პოლიტიკური რევანშისთვის. ტოტალური, ურცხვი პროპაგანდის მანქანიდან მომდინარე ეგრეთწოდებული ახალი ამბები და ეგრეთწოდებული პოლიტიკური ანალიზი, რომლითაც იბომბება ჩვენი თანამოქალაქეების ცნობიერება, უწყვეტ რეჟიმში ტრანსლირებულ, ერთ დიდ და ფალსიფიცირებულ „მოდელირებულ ქრონიკად“ გადაიქცა.

„ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის ღალატის დაბრალებით, გაუგებარი აუდიოჩანაწერების გავრცელებით, არასრულწლოვანი ბავშვის მკვლელობაზე სპეკულირებით (რაც განსაკუთრებულად უღირსი საქმეა), ისინი ამაოდ ცდილობენ „ქართულ ოცნებას“ მიაწებონ ის იარლიყი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის განუყოფელი ნიშანია. ამ პირობებში „ქართული ოცნება“ გრძნობს ვალდებულებას, საზოგადოებას მიაწოდოს სრული ინფორმაცია ამ უსუსური ბრალდებების შესახებ, რათა საზოგადოებამ თავად განსაჯოს, სად არის სიმართლე და სად არის ტყუილი: „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ღალატს აბრალებს პოლიტიკური ძალა, რომელიც სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევით გაყვანილ რუსის ჯარს უკან შემოუძღვა საქართველოში. ამ პოლიტიკურმა ძალამ თავისი ავანტიურისტული თუ მოღალატეობრივი ქმედებებით მისცა რუსეთს შესაძლებლობა, აესრულებინა დიდი ხნის წადილი და განეხორციელებინა აფხაზეთისა და ცხინვალის სრული ოკუპაცია. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც მშვიდობიანი მოსახლეობა შეატოვეს მტერს (რომ არა ჩვენი პატრიარქისა და ეკლესიის თავდადება, ალბათ, ჩვენს გმირებს მიწასაც კი ვერ მივაბარებდით); მათ ომში მარცხი ჯერ გამარჯვებად მონათლეს და რუსთაველის გამზირზე აზეიმეს ხალხს, შემდეგ კი მსხვერპლის როლი მოირგეს, მაგრამ, პარალელურად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იმ რეზოლუციას მისცეს ხმა, სადაც რუსეთის ინტერვენცია კონტრშეტევად არის შეფასებული. ამ ორმაგი ღალატის ჩამდენმა პოლიტიკურმა ძალამ დღეს პრეზიდენტის თანამდებობაზე რუსეთთან ორგანულად შესისხლხორცებული კანდიდატი შემოგვთავაზა, ხოლო ბოლშევიკური ოკუპაციის გამო ემიგრაციაში დაბადებულ, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალს და რუსული ბაზების საქართველოდან გამყვანს სალომე ზურაბიშვილს – მოღალატეობა დასწამა;

ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა სატელიტებმა ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი პოლიტიკური სპექტაკლი მოზარდის მკვლელობის საქმეზე გაათამაშეს. ხორავას ქუჩის ტრაგედია მათ მიერ დეტალურად დაგეგმილი და ორკესტრირებული პროტესტის ტალღად გადაიქცა, რომელმაც მაშინვე დაკარგა გულწრფელი მხარდამჭერები, როგორც კი საზოგადოებამ დაინახა ნაცმოძრაობის კარგად ნაცნობი ხელწერა. მოზარდებს შორის მომხდარ დანაშაულზე სახელმწიფოს მყისიერი რეაგირება ჰქონდა. მაგრამ, როდესაც რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბრალდების ყველა პუნქტში პირველი ინსტანციის მოსამართლის დარწმუნება ვერ მოხერხდა, მთავარი პროკურორი გადადგა თანამდებობიდან, რითაც საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების სრულიად ახალი სტანდარტი დამკვიდრდა. ხელისუფლებამ გადადგა კიდევ ერთი უპრეცედენტო ნაბიჯი და პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელსაც ოპოზიცია ჩაუდგა სათავეში. ნაციონალურ მოძრაობას აქვს უსუსური მცდელობა, ბავშვებს შორის მომხდარი მკვლელობის საქმე შეადაროს გირგვლიანის საქმეს, სადაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების უმძიმეს შეთქმულებას ერთი ადამიანის წინააღმდეგ. სანდრო გირგვლიანის და ირინა ენუქიძის მკვლელები „ქართულ ოცნებას“ უმწეოდ აბრალებენ დამნაშავეებისთვის ხელის დაფარებას იმ საქმეში, სადაც პოლიტიკურ ჩარევაზე საუბარი ოპოზიციის ხელმძღვანელობით მომუშავე საგამოძიებო კომისიამაც კი ვერ გაბედა;

გადაბრალების პოლიტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ტელეკომპანია „იბერიის“ გამოგონილი საქმე, რომელიც, რეალურად, სიგარეტის მწარმოებელი „ომეგა ჯგუფის“ მესვეურთა მიერ ინიცირებული და ნაცმოძრაობის მიერ ატაცებული



ბინძური კამპანიაა. ამ კამპანიის მიზანი, ერთი მხრივ, ბიუჯეტის კუთვნილი 50 მილიონის, ანუ ხალხის კუთვნილი ფულის არგადახდა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების იმიჯის შელახვაა. საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ „ომეგას“ ბიზნესი გაანადგურა სააკაშვილმა, მან ქვეყნიდან განდევნა მისი დამფუძნებელი და პირველს სწორედ მას წაართვა ტელევიზია. ეს ბიზნესი და ტელევიზია ჩვენი ხელისუფლების დამსახურებით დაუბრუნდა მფლობელს. და დღეს ეს ადამიანი, რომელმაც 50-მილიონიანი დავალიანება დააგროვა ბიუჯეტის წინაშე, თავის ყოფილ ჯალათს – სააკაშვილს შეეკრა და გაუგებარი ჩანაწერებით ცდილობს, თავი აარიდოს ხალხის კუთვნილი ფულის გადახდას, ფარად კი ამ საქმეში ტელეკომპანია „იბერიას“ იყენებს;

„ქართულ ოცნებას“ მედიის თავისუფლების შეზღუდვას აბრალებს პოლიტიკური ძალა, რომელმაც ძალადობით მიისაკუთრა ტელეკომპანია „რუსთავი-2“, რომელიც გარდაცვლილის ქონებას კლასიკური მაროდიორივით დაეპატრონა და მიითვისა ტელეკომპანია „იმედი“. ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც 2004-12 წლებში ტოტალური კონტროლი დაამყარა მედიასაშუალებებზე. დღეს ყველა ხედავს, თუ რამდენად თავისუფალია მედიაგარემო საქართველოში;

უსუსური ეგრეთწოდებული ფარული ჩანაწერებით „ქართულ ოცნებას“ ბიზნესზე ზეწოლას აბრალებს კრიმინალური პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც ბიზნესის რეკეტი, ბიზნესმენების შანტაჟი და დაშინება, ქონების მიტაცება ყოველდღიური მოვლენა იყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ არსებობს ბიზნესზე პოლიტიკური ზეწოლის არცერთი შემთხვევა და, შესაბამისად, ვერავინ წარმოადგენს ამგვარი ფაქტის ვერცერთ მტკიცებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაციონალური მოძრაობისა და მისი მედიასაშუალებების უსუსური მცდელობა, განახორციელონ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია, წარუმატებლობისთვის არის განწირული. „ქართული ოცნება“ ჩვენი მოსახლეობის წინაშე არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერასოდეს დაბრუნდება ხელისუფლებაში და ვეღარასდროს შეუქმნის საფრთხეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას, ქართულ დემოკრატიას, ქართველ საზოგადოებას, ქართულ მედიას და, რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა კახა კალაძემ.

არ მინდა, იფიქროთ, რომ ჩვენ ვართ თვითკმაყოფილები. ჩვენი ამოცანაა, განვავითაროთ ეკონომიკა და გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა, სრულად აღმოვფხვრათ სიღარიბე საქართველოში; ადამიანებს მივცეთ თვითრეალიზების უკეთესი შესაძლებლობები და ვიზრუნოთ საზოგადოების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებასა და გაძლიერებაზე; ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტნიორობა მეგობარ ქვეყნებთან, გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრი; გადავდგათ თანმიმდევრული ნაბიჯები, რათა, საბოლოოდ, დავიბრუნოთ აფხაზეთი და ცხინვალის მხარე, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და დები“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ბოლოს კახა კალაძემ ამომრჩეველს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილს მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

**ამ არჩევნებით უნდა დავამკვიდროთ ახალი, ჯანსაღი და დემოკრატიული კონსტიტუციური ტრადიცია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. სწორედ ასეთი პრეზიდენტი იქნება ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი: დიდი ქართველების შთამომავალი ქალბატონი, სამაგალითო მეუღლე, დედა და სამშობლოს პატრიოტი; გამორჩეული დიპლომატიური გამოცდილების მქონე ადამიანი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანაში; პრინციპული პოლიტიკოსი, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმს და წლების მანძილზე იბრძოდა სამართლიანობისა და დემოკრატიის დასაცავად. ეს არჩევნები იქნება კიდევ ერთი წყალგამყოფი სიმართლესა და სიყალბეს, პრინციპულობასა და უპრინციპობას, პროდასავლურობასა და ანტიდასავლურობას – „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. სალომე ზურაბიშვილი იზიარებს იმ ღირებულებებს, რომელზეც დგას „ქართული ოცნება“, იზიარებს ჩვენი დღევანდელი განცხადების პათოსს და სწორედ ამიტომ დგას ის დღეს ჩვენთან ერთად. მოგიწოდებთ, კიდევ ერთხელ უთხრათ უარი სიყალბეს, უპრინციპობას და ანტიდასავლურ ძალას და არჩევნებში მხარი დაუჭიროთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს.**

## გახსოვთ, ომის დროს როგორ მიატოვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დახოცილი ჯარისკაცები, უპატრონოდ დატოვეს ტყეში ჯარი...

ბიძინა ივანიშვილის თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან ბევრი დანაშაული ჰქონდა, მაგრამ თუ შევაჯამებთ და შევადარებთ ერთმანეთს, ალბათ, ყველაზე დიდი დანაშაული იყო მათი პოზიცია 2008 წლის ომში.

**„გახსოვთ, როგორ იქცეოდნენ, როგორ მიატოვეს დახოცილი ჯარისკაცები, უპატრონოდ დატოვეს ტყეში ცოცხალი ჯარი, სწორედ ეს თემა აქვთ წინა პლანზე წამოწეული. ყველაზე დიდი დანაშაული, რაც ჩაიდინეს, ცდილობენ, დღეს გადმოიტანონ და დააბრალონ საპრეზიდენტო კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პროცესში ძალიან ბევრი იზრუნა, რომ რუსულ ჯარს დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორიები.**

**მახსოვს, თქვენც კარგად გახსოვთ, ალბათ, როგორი პრინციპულობით გამოირჩეოდა სალომე ზურაბიშვილი საგარეო მინისტრის რანგში, როგორ თანმიმდევრულად და ოსტატურად მოახერხა მან, რომ რუსულ ჯარებს ტერიტორიები დავატოვებინეთ. ამის შემდგომ, სააკაშვილი პირდაპირი მნიშვნელობით, შემოუძღვა რუსულ ჯარს და დღეს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი არის ოკუპირებული.**

**აღმაშფოთებელია, რომ ეს ხალხი დღეს ცდილობს ისევ, რომ ჩვენ გადმოგვაბრალოს და სალომე ზურაბიშვილი მოღალატედ მონათლოს“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



## პროვოკაციები არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა

– განაცხადა პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი თქმით, ამის მტკიცებულებები არის ის, რაც ხდება პრაქტიკულად ყოველდღიურად მისი გამოსვლების დროს რეგიონებში.

**„მაგრამ ეს არ არის ის, რაც მაჩერებს, როგორც იცით. არ მგონია, რომ ეს უნდა იყოს მთავარი აქცენტი. მთავარია, ჩემი ურთიერთობა ამომრჩეველთან“,** – განაცხადა ზურაბიშვილმა.

„ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის ინტერვიუსთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ აღარასოდეს განმეორდება ის, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს, როცა ბიზნესი ყველანაირად დარეკეტებული იყო.

**„მიჩნდება კითხვები, როდესაც ვადარებ იმას, რაც ხდებოდა წინა წლების დროს. როცა იყო ნამდვილი რეკეტი ბიზნესზე და როცა თქვენ ღიმილი არ გიჩნდებოდათ და არც კითხვები. როგორც მომავალი პრეზიდენტი, ვარ და ვიქნები მედიის დამცველი, ასევე ბიზნესის დამცველი. აღარასოდეს განმეორდება, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს, როცა ბიზნესი იყო ყველანაირად დარეკეტებული. ეს პერიოდი დამთავრდა და აღარასოდეს არ დაბრუნდება. ჩემი პრეზიდენტობის დროს არ განმეორდება ის, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს“,** – განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, მას ყველაზე დიდ ხარვეზად მიაჩნია ის, რომ დიალოგი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არ იყო სათანადო დონეზე.

**„ბევრი რამ რაც გაკეთდა, არ იყო მიტანილი საზოგადოებასთან. ბევრი პრობლემა, რაც საზოგადოებაშია, არ იქნა მოტანილი ხელისუფლებასთან და ამ დიალოგის აღდგენა იქნება ერთ-ერთი ის ფუნქცია, რაც მიმაჩნია, რომ პრეზიდენტისთვის მნიშვნელოვანია, რათა იყოს მედიატორი, ადამიანი, რომელიც საზოგადოების მხარეს იქნება“,** – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.



# „ელცინი სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ“

## „დაგვიანებული“ ინტერვიუ ისტორიკოს ზურაბ პაპასქირთან.

**– აფხაზეთის ომიდან 25 წელი შესრულდა. დღეის გადმოსახედიდან, როგორ თვლით, შესაძლებელი იყო თუ არა იმ ომის თავიდან აცილება?**

– ეს მართლაც ძალიან რთული კითხვაა. ერთმნიშვნელოვნად ვერ იტყვი, რომ ჩვენ ამას შევძლებდით.

1992 წლის ზაფხულში აფხაზების მხრიდან კონფრონტაციამ პიკს მიაღწია. ისინი ცდილობდნენ, ცენტრალური ხელისუფლების იგნორირებით აფხაზეთზე სრული კონტროლი დაემყარებინათ. 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა დეპუტაციამ რეგლამენტის უხეში დარღვევით შეაჩერა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია“ და მიიღო ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუცია“, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიქმებოდა. ანუ, 23 ივლისს ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა კონსტიტუციურ გადატრიალებას. მაგრამ თბილისს არც უფიქრია ძალის გამოყენება და სეპარატისტების ამ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას იურიდიული კონტრზომებით უპასუხა. ანუ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ეს სამხედრო დაპირისპირება თავიდან აგვერიდებინა, თუმცა 1992 წლის საბედისწერო 14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული შეიარაღებული ნაწილების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეყვანამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ჰქონდა სრული იურიდიული უფლება, თვითონვე განესაზღვრა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანის აუცილებლობა (საპირისპიროს მტკიცება სრული პოლიტიკური და იურიდიული უმეცრების გამოვლინებაა), თბილისის ეს ნაბიჯი მაინც ნაჩქარევი და მოუმზადებელი აღმოჩნდა. აფხაზეთში სამხედრო ნაწილების შეყვანისას საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებდა, რათა სეპარატისტებს არ მისცემოდათ საბაბი პროვოკაციისათვის. სახელმწიფოს იმჟამინდელი პირველი პირი არ უნდა დასჯერებოდა სატელეფონო საუბრებს ვ. არძინბასთან, თვითონ უნდა ჩასულიყო სოხუმში, პირადად შეხვედროდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მეთაურს და ოფიციალურად მიეღო თანხმობა (წერილობით დამოწმებული) აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის შეყვანაზე. ამით, ალბათ, თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. ედუარდ შევარდნაძეს აშკარად უმტყუნა პოლიტიკურმა ალღომ და მან, როგორც ჩანს, ვერ გაბედა, გადაედგა იმ დროისთვის რამდენადმე სარისკო ნაბიჯი. შედეგად, ვ. არძინბას მიეცა შანსი თავისი ვერაგული ზრახვების რეალიზაციისათვის.

რასაკვირველია, არ შეიძლება, კატეგორიულად ვამტკიცოთ, რომ ამით ჩვენ ავიცილებდით შეიარაღებულ დაპირისპირებას, მაგრამ შანსი იმისა, რომ მშვიდობიანად მივსულიყავით 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, ნამდვილად ჩნდებოდა და შეიძლება, ომიც თავიდან აგვეცილებინა, თუმცა ამაში ბოლომდე დარწმუნებული მაინც არ ვარ.

**– ამ პროცესებში მთავარ დამნაშავედ მაინც ვინ გესახებათ?**

– ეს სამხედრო დაპირისპირება დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა – სულ მცირე, 100 წლის ისტორია აქვს: რუსეთი თანმიმდევრულად ქმნიდა ქართველებისგან მტრის ხატს აფხაზეთში, აღვივებდა სეპარატისტულ განწყობებს. ასე რომ, **ამ ტრაგედიის მთავარი შემოქმედი, უდავოდ, რუსეთია,** რომელსაც აჰყვა მის მიერვე გამოზრდილი, რუსული იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი აფხაზური ინტელიგენცია.

**– მთელ ამ პროცესებში, ცხადია, მნიშვნელოვანია საკვანძო ფიგურების როლი: გამსახურდიასი, ელცინის, შევარდნაძის, არძინბასი, კიტოვანის, იოსელიანის...**

– მე მაინც ალბათ, ელცინზე, შევარდნაძეზე და არძინბაზე გავაკეთებდი აქცენტს.

როგორც უკვე ვთქვი, **თუკი შევარდნაძეს რამეში დავადანაშაულებთ, ეს არის ის, რომ მან არ გადადგა იმ დროისათვის არაორდინარული ნაბიჯი, არ ჩავიდა სოხუმში, არ შეხვდა და არ გააფორმა ვლადისლავ არძინბასთან ერთობლივი დოკუმენტი, რითიც შეეძლო 14 აგვისტოს თავიდან აცილება.** სხვა მხრივ აქ ბევრს ვერაფერს იტყვი. მე მას არაერთხელ შევხვედრივარ და შემიძლია, ვთქვა, რომ ის არ იყო განწყობილი კონფრონტაციულად. ამასწინანდელ ინტერვიუში სტანისლავ ლაკობა (აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და პარლამენტის წევრი (1991-1996), უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აფხაზური უშიშროების საბჭოს ორგზის თავმჯდომარე (2005-2009 და 2011-2013), ომის დროს – დეპუტატი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პარლამენტთაშორისი კავშირების კომისიის თავმჯდომარე) შევარდნაძეს აბრალებს, ომი უნდოდაო (http://accent.com.ge/ge/news/details/59933), მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე: **ქართულმა მხარემ ყველაფერი გააკეთა, რომ ომი თავიდან აეცილებინა, მაგრამ პროვოკაცია მოგვიწყვეს და გვაიძულეს, ჩავრთულიყავით.**

რაც შეეხება ელცინს, ის იმ დროს არ იყო ანტიქართულად განწყობილი – სტანისლავ ლაკობა და სხვა აფხაზები, რომლებიც ამას ამბობენ, მართლები არიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ელცინს იმხანად გამოკვეთილად ქართველების მხარე ეკავა, მაგრამ მას აფხაზეთის ომში რუსეთის ღიად ჩართვა და ქართველების წინააღმდეგ ომი სიგიჟედ მიაჩნდა. შემიძლია, გითხრათ, რომ **ის, რაც პუტინმა გააკეთა 2008–ში, ელცინის დროს, ალბათ, არ მოხდებოდა.** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ელცინი ხშირად ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, საკუთარ გარემოცვას, ამ გარემოცვაში კი მრავლად იყვნენ ისეთი პერსონები (იგივე ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოი, ძალიან ბევრ საკითხს იქ იმხანად წყვეტდა თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი... ), რომლებიც გამოხატულად ანტიქართულად იყვნენ განწყობილნი და 1993 წლის სექტემბერში სწორედ მათ გადაწყვიტეს ჩვენი ბედი.

რაც შეეხება ვლადისლავ არძინბას, **იგი გენეტიკურად ქართველთმოძულე იყო.** სამწუხაროდ, მისი დაწინაურება სწორედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, უშუალოდ ზვიად გამსახურდიას დასტურით მოხდა, რაც უდიდესი შეცდომა იყო. მხედველობაში მაქვს არა მისი გაპირველკაცება 1990 წლის დეკემბერში, როდესაც არძინბას მივეცით ერთგვარი კარტბლანში და შევეცადეთ მისი, როგორც ნაციონალისტი ლიდერის ავტორიტეტი საქართველოს სასიკეთოდ გამოგვეყენებინა. მაგრამ მან არათუ არ გაამართლა ზვიად გამსახურდიას ნდობა, არამედ თავისი დესტრუქციული ნაბიჯებით ღიად დაუპირისპირდა თბილისს: ჯერ იყო და აფხაზეთში ჩაატარა ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ოფიციალურად აკრძალული 17 მარტის რეფერენდუმი და ღიად დაუჭირა მხარი აფხაზეთის დარჩენას „განახლებულ“ საბჭოთა კავშირში, ხოლო 31 მარტის რეფერენდუმს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ბოიკოტი გამოუცხადა (თუმცა ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს რეფერენდუმი ვერ აკრძალა). მან ბოიკოტი გამოუცხადა აგრეთვე 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს (რომელიც ასევე ვერ ჩაშალა). მიუხედავად ყველაფერ ამისა, პრეზიდენტი ზ. გამსახურდია მაინც დაარწმუნეს, რომ 1991 წელს აქცენტი კვლავ გაეკეთებინა ვ. არძინბაზე. ეს იყო გამოუსწორებელი შეცდომა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**– ზემოთ ახსენეთ გრაჩოვი, როგორც ხშირ შემთხვევაში ელცინის ნაცვლად მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები პირი. ხშირად გვსმენია საუბრები გრაჩოვისა და კიტოვანის მეგობრობასა და შეთანხმებულ მოქმედებაზე...**

– დიახ, კიტოვანი და გრაჩოვი მეგობრები აღმოჩნდნენ. კიტოვანი თავიდან ზ. გამსახურდიას თანამებრძოლად პოზიციონირებდა, შემდეგ კი სულ სხვა ამპლუაში ვიხილეთ...

ამ თემის განვრცობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, თუმცა ერთ რამეს მაინც ვიტყვი: კიტოვანი საქართველოდან რომ წავიდა, მოსკოვში აღმოჩნდა, გრაჩოვის მფარველობის ქვეშ. რაც შეეხება ზოგადად იმ მოვლენებში კიტოვანის როლს, სამწუხაროდ, მან მართლაც საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

**– აფხაზები დღესაც ხშირად გვაყვედრიან „კიტოვანისა და მისი ხალხის მიერ აფხაზეთში ჩადენილ სისასტიკეს“...**

– მართალი გითხრათ, როცა ამ კუთხით საუბრობენ კიტოვანზე, ჯაბა იოსელიანზე, ეს ყველაფერი გადაჭარბებულია. რასაკვირველია, ჩვენ კრიმინალი ვერ აღვკვეთეთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვეცადეთ, ბევრჯერ გამოვცვალეთ კომენდანტები ქალაქში... თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია ერთი რამ: ჩვენ ეთნიკური ნიშნით არავინ დაგვიხოცავს. გენოციდზე შეიძლება საუბარი, როდესაც შენ სწორედ ეთნიკური ნიშნით გამოგყავს ადამიანები და ხვრეტ, ჩვენ კი ასეთი ფაქტები ნამდვილად არ გვაქვს. აფხაზები ამბობენ, რომ ეთნიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები არსებობდა, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ სოხუმში, გულრიფშში, სადაც მე ვტრიალებდი, მსგავსი ფაქტები არ ყოფილა. მაროდიორობა სხვა რამეა.

**– სტანისლავ ლაკობა ამასწინანდელ ინტერვიუში გამოთქვამს ვარაუდს, რომ შევარდნაძე ორმაგ თამაშს თამაშობდა: დსთ-ში შესვლას თავს არიდებდა, საქართველო დასავლეთისკენ მიჰყავდა, მაგრამ სურდა, ეს რუსეთის, კერძოდ ელცინის ხელით გაეკეთებინა. მისივე თქმით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე რუსეთმა მხარი დაუჭირა კიდეც საქართველოს ხელისუფლებას და არა აფხაზებს, მაგრამ როდესაც შევარდნაძე ელცინისგან მხარდაჭერის მიღების შემდეგ გაეროში სიტყვით გამოვიდა და რუსეთს მძიმე ბრალდებები წაუყენა, ეს ქართულ–რუსულ ურთიერთობებში გარდამტეხ მომენტად იქცა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო რუსეთმა აფხაზებისთვის დახმარების გაწევა. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

– არსებობს 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმება, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა იმთავითვე აღიქვეს, როგორც მათ მიმართ მოღალატური (ლაკობა თავის ამასწინანდელ ინტერვიუში ამას ხაზს უსვამს). მართლაც, იმ დოკუმენტში, ფაქტობრივად, დადასტურდა აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული შენაერთების შეყვანის ლეგიტიმურობა და მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი ერთი ნაწილის დატოვება აფხაზეთში წესრიგის დასამყარებლად. რაც მთავარია, აღიარებულ იქნა, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი. თანაც ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ ორი სახელმწიფოს – რუსეთისა და საქართველოს ლიდერები ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე, ხოლო დანარჩენები (მათ შორის ვ. არძინბა) მას უბრალოდ ადასტურებდნენ საკუთარი ხელმოწერით. ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ბ. ელცინი, მართლაც, მკაფიოდ აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მაგრამ საბოლოო ჯამში, რუსებმა აფხაზები არჩიეს და ამას ბ. ელცინმა წინააღმდეგობა ვერ (თუ არ) გაუწია.

**– პარალელი რომ გავავლოთ 1990-იანი წლების მოვლენებსა და 2008 წლის აგვისტოს შორის, რა მსგავსებებსა და განსხვავებებს ხედავთ?**

– 2008 წელს რუსეთმა ცხინვალის რეგიონში ზუსტად იგივე სცენარის განხორციელება სცადა, როგორიც 1990-იანებში აფხაზეთში განახორციელა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. კრემლმა ამჯერად უბრალოდ ვერ გათვალა, რომ 2008 წლის საქართველო სულ სხვა სახელმწიფო იყო და რომ 1993 წლისგან განსხვავებით, მის შეიარაღებულ ძალებს უკვე შეეძლოთ, გაეწმინდათ სეპარატისტული რეგიონი სეპარატისტი მოთარეშეებისგან, ასევე „შემოგზავნილი“ რუსული სამხედრო შენაერთებისგან და აღედგინათ იქ კონსტიტუციური წესრიგი. სწორედ ქართული ჯარის ოპერატიულმა მოქმედებამ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეალურად დაკარგვის საფრთხემ აიძულა რუსეთის ხელისუფლება, ჩამოეხსნა „მშვიდობისმყოფელის“ ნიღაბი, ფეხქვეშ გაეთელა საერთაშორისო სამართალი, შეეყვანა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყველაზე ბრძოლისუნარიანი 58-ე არმია და ოფიციალურად ჩართულიყო ომში საქართველოს წინააღმდეგ – ანუ, გაეკეთებინა ის, რაც ადრე ბორის ელცინს, უბრალოდ, „სიგიჟედ“ მიაჩნდა.

2008-ში ომი თითქოს წავაგეთ, მაგრამ რეალურად, პოლიტიკურად რუსეთმა სერიოზული მარცხი განიცადა. თავიდან ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ არ უნდა გვეპასუხა, არ უნდა ჩართულიყო სააკაშვილის ხელისუფლება ამ ომში, თუმცა ყირიმის შემდეგ მსგავს საყვედურებს სერიოზულ წრეებში ველარ მოისმენ: ყირიმში არ უსვრიათ, არც მიშა (სააკაშვილი) ყოფილა და რუსეთმა, უბრალოდ, „მშვიდობიანადააწაპნა“ 40-მილიონიან უკრაინას მისი კუთვნილი რეგიონი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს საპასუხო ცეცხლი რომ არ გაეხსნა, რუსები გაათამაშებდნენ სოხუმის 1990-იანი წლების სცენარს: დაიკავებდნენ მიმდებარე სოფლებს და გამოაცხადებდნენ, რომ „აღადგინეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული მთლიანობა“. ეს არის და ეს.

დღეს უკვე ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთს 2008 წ. აგვისტოს ავანტიურა მთლიანად „ჩაუვარდა“. 2008 წლის შემდეგ რუსებს აფხაზეთში ბევრად მეტი პრობლემა აქვთ, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. აფხაზეთში XIX ს. 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიამ მუჰაჯირობა მოუწყო ურჩ აფხაზებს, პირველად გაჩნდა ღია ანტირუსული რიტორიკა, ხოლო რუსები ალაპარაკდნენ აფხაზთა უმადურობაზე.

**– ბრძანებთ, რომ აფხაზეთში ანტირუსული განწყობები გაჩნდა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი ხსნას საქართველოში ხედავენ... თქვენ რა პერსპექტივებს ხედავთ?**

– აფხაზურ საზოგადოებაში, ანალიტიკოსებში, პოლიტიკოსებშიც უკვე გაჩნდა სერიოზული ეჭვები აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს „ნათელ“ მომავალზე და ეს – 1993 წლის „აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ „ტრიუმფალური გამარჯვების“ 25 წლისთავზე. საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთი დღესაც ორი არჩევანის წინაშე დგას: ან რუსეთი, ან საქართველო, სხვა ალტერნატივას ისინი ვერ ხედავენ. ეს კი უკვე დამაიმედებელია.

**„აქცენტი“**



# გოგა ხაინდრავა:
# ხმა ავიმაღლოთ ამ სიბნელისა და სიბინძურის წინააღმდეგ!

**რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი პირველივე ტურში მოიპოვებს გამარჯვებას.**

**გოგა ხაინდრავამ საუბარი სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი განცხადებით დაიწყო:**

– სალომე ზურაბიშვილმა ამასწინანდელ გამოსვლაში განაცხადა, დებატებში ვიწვევ შავი ძალის ორივე სახესო, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, ვინ არის ეს შავი ძალა და არც ის უთქვამს, რომელ სახეებს გულისხმობდა. 15 წუთში გამოვარდნენ გრიგოლ ვაშაძე და გიგა ბოკერია და განაცხადეს, მზად ვართ დებატებში მონაწილეობისთვისო. პრაქტიკულად, მათ დაადასტურეს და თვითონაც იციან, რომ შავი ძალა არიან. არა მარტო შავი ძალა არიან, არამედ ბოლშევიკური ძალის ნარჩენია საქართველოში. 1921 წელს ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ საქართველოში, ვაშაძისნაირი „პატრიოტები“ სალომე ზურაბიშვილისნაირ ოჯახებს დევნიდნენ ზუსტად ისე, როგორც დღეს იდევნება სალომე მათი მხრიდან ამ ბოროტი და შავი ძალის მხრიდან. მე მგონი, ძალიან კარგი სახელი მოიფიქრა, ნამდვილად შავი ძალაა, მომავალი კრემლიდან თავისი პიარ-მენეჯერებით, სკლიაროვით, რომელიც თავის დროზე პუტინის საარჩევნო კამპანიის პიარ-მენეჯერი იყო, შემდეგ ქსენია სობჩაკის, ახლა გრიგოლ ვაშაძის პიარ-მენეჯერია. მაგან მოიგონა ეს, თუმცა, ამას არაფერი მოგონება არ უნდა, რაც ეს ბოლშევიკური ბოროტება და ბაცილა არსებობს, მას მერე იყენებენ. ცილისწამება, ისეთი რამის დაბრალება ადამიანზე, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელია - ეს არის სამარცხვინო მოვლენა, როდესაც ფეიკ-მედიაში „სალომე მოღალატეა“ – იწერება, როდესაც ვხედავთ, რომ სანაგვე ყუთზეა გაკრული პლაკატები წარწერით „სალომე მოღალატეა“. ზუსტად სანაგვე ყუთშია ვაშაძის და ბოკერიას ადგილი და სამწუხაროდ, უბედურება ის არის, რომ დღემდე პარლამენტში არიან! ეს ნაგვის ყუთის ბინადრები, ეს შავი ძალა მართლა!

იმედი მაქვს, ყველა მიხვდება, რომ ბოლშევიზმი საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

**– სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელ გამონათქვამებს ძალიან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა...**

– პუტინის გამოზრდილი ლეკვი – ვაშაძე, „კაგებეს“ სამჭედლოში სწავლობდა 1976 წლიდან 1981 წლამდე, ანდროპოვის დროს, რომელიც სტალინის შემდეგ ყველაზე რეაქციული ხანა იყო საბჭოთა კავშირში. მაშინ დაიჭირეს მთელი პატრიოტები, დისიდენტები, ბუკოვსკი, მერაბ კოსტავა... ამ სამჭედლოდან გამოსული კაცი თავის ინტერვიუებში უტიფრად ამბობს, რომ ეს იყო თავისუფლების კუნძული... „კაგებეს“ სამჭედლო მისთვის იყო თავისუფლების კუნძული... „მე რუსული კულტურის შვილი ვარო...“ – დედას აგინებს მთელ ქართულ პრესას რუსულ ენაზე და შეურაცხყოფას აყენებს, ყველამ გაიგონა ეს და არც ქარტიები, არც ჟურნალისტური კავშირები, არც „ენჯეოები“ ხმას არ იღებენ! არც ერთმა არ თქვა, როგორ ბედავ ჩვენი დედის გინებასო! ეს გავიგონეთ ყველამ ტელევიზორში და ფეიკ-მედია კივის, როგორ გაბედა სალომე ზურაბიშვილმა იმის თქმა, ტვინი გაანძრიეთო. რა თქმა უნდა, ამ ვითომ ჟურნალისტებს ვაშაძისგან რუსულად დედის გინება დედის ნანასავით ესმით. ამ საზოგადოების უბედურებაც ეს არის, დაიპყრო ამ შავმა ძალამ პრესაც, „ენჯეოებიც“ და გამოგვიყრუეს ყურები ამ სიბინძურით, რომლის ჩამდენი შეიძლება მარტო ბოლშევიკები და ნაცისტები არიან, ეს ორ ნაწილად გაყოფილი სიბნელე კი ნაცისტებიც არიან და ბოლშევიკებიც. მინდა, საზოგადოებას მივმართო, ხმა ავიმაღლოთ ამ სიბნელის და სიბინძურის წინააღმდეგ! როდემდე შეიძლება ამის მოთმენა?!

გარდა იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი როგორც საქართველოს, ისე საფრანგეთის ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქეა, დაჯილდოებულია ღირსებისა და უმაღლესი სახელმწიფო ორდენებით საფრანგეთში, განსაკუთრებული ბიოგრაფიის პატრონი და ევროპული სულისკვეთების ჩამომტანი, სიმბოლო გაერთიანებული საქართველოსი. დღეს იმ ძალების შთამომავლები, რომლებმაც სალომეს ოჯახი 1921-1924 წლებში საქართველოდან გააგდეს, წამლავენ სალომეს. ეს უნდა დამთავრდეს! ქართველმა საზოგადოებამ ამ სიბნელეს წერტილი უნდა დაუსვას! ბოლშევიკური ბაცილა საქართველოში კიდევ ტრიალებს! სანამ ბოკერია პარლამენტში იჯდება და ვაშაძისნაირი მანქურთები პოლიტიკურ ასპარეზზე იქნებიან, ესე იგი ბოლშევიზმი და ნაციზმი საქართველოდან ჯერ კიდევ არ გამქრალა! მგონი, დროა, ამ სიბნელეს წერტილი დავუსვათ.

**– თქვენი აზრით, დაესმება თუ არა წერტილი ამ სიბნელეს?..**

– მე მჯერა საქართველოს მომავლის! მჯერა, რომ საქართველო მომავალში იყურება და არა წარსულში, მჯერა, რომ ეს ნაციზმი დამთავრდება.

ეს ვაშაძე რომ იტყუება და პირდაპირ ქვენა გრძნობებზე რომ თამაშობს, პენსიონერებს 400 ლარს მივცემო და მეორე ნასხლეტი ვაშაძის ბაქრაძე რომ ამბობს, სტუდენტებს დავაფინანსებო და პენსიას 50 ლარით გავზრდიო, როგორ გაზრდიან, ვინ ეკითხება პრეზიდენტს ამ უფლებამოსილებით ან პენსიის გაზრდას ან სტუდენტების დაფინანსებას?! ეს ხომ ძალიან იაფფასიანი სიცრუეა, რომელიც გათვლილია გაჭირვებულ ადამიანზე.

**– ოპოზიცია განსაკუთრებით აპელირებს სალომე ზურაბიშვილის იმ განცხადებაზე, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო...**

– რამდენიმე დღის წინათ მე დავსვი შეკითხვა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და არც ერთი ვითომ ჟურნალისტი არ გამოეხმაურა... რომელი ქვეყანაა რუსეთის გარდა, რომელიც საქართველოში დესტაბილიზაციითაა დაინტერესებული? არც ერთი, რუსეთის გარდა! რომელი ქვეყანაა, უკრაინაში დესტაბილიზაციით რომ არის დაინტერესებული? არც ერთი, რუსეთის გარდა! ორივე ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო არის სააკაშვილი! უკრაინაში უკვე ვიხილეთ ეს დესტაბილიზაცია და საქართველოში მხოლოდ სურვილი აქვს და მაგასაც ხომ ვხედავთ, ვისი ხელით აკეთებს ამას ეს პარაზიტი. ვისი ხელით და ვაშაძის ხელით, რომელმაც განაცხადა უკვე, რომ პირველს რასაც გააკეთებს, გაათავისუფლებს ამ ბოროტმოქმედებს – სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებს, ამ კაციჭამიებს და სისხლისმსმელებს და, რა თქმა უნდა, ეს არის დესტაბილიზაცია საქართველოში და ვინ ოცნებობს მაგ დესტაბილიზაციაზე? ვინ ილაპარაკა მაგის შესახებ გაეროს და სხვადასხვა ტრიბუნიდან?! რუსებმა! ლავროვმა, პუტინმა, ეგენი ცდილობენ დესტაბილიზაციას და არა ფრანგები. ფრანგებს არ სჭირდებათ დესტაბილიზაცია საქართველოში და იქიდან ჩამოსული ქალბატონი, რომელიც თავის დროზე ჟაკ შირაკის გადაწყვეტილებით მოვიდა საქართველოში, ისეთი აქტი აქვს განხორციელებული, რომელიც მთელ დანარჩენ პოლიტიკურ მოღვაწეებს ერთად აღებულს თუ აქვთ, ბაზების გაყვანას ვგულისხმობ. მე მაშინ ვიყავი იმ მთავრობის მინისტრი, მონაწილეობას ვიღებდი მოლაპარაკებებში და ვადასტურებ, რომ დიახ, სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევით იყო გაყვანილი რუსული ჯარები საქართველოდან, თორემ სააკაშვილმა და ვაშაძემ ისინი უკან დააბრუნეს! გრიგოლ ვაშაძე ომის დროს რუსეთის მოქალაქე და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. სააკაშვილს აქეთ ყურთან „კაგებეს“ ნაყოფი ვაშაძე ეჯდა და იქით ყურთან ბიძამისი ალასანია, ისიც „კაგებეს“ ნაყოფი. რა თქმა უნდა, 2008 წლის 7 აგვისტოს, გამთენიისას, ცხინვალს სააკაშვილმა გაუხსნა ცეცხლი! ეგ არის დამნაშავე! საქართველომ კი არ დაიწყო ომი, სააკაშვილმა საკუთარ მოქალაქეებს გაუხსნა ცეცხლი და მან პასუხი უნდა აგოს ქართველი ხალხის წინაშე და ქართულ სასამართლოში! ჰააგა და სტრასბურგი ცალკე თემაა. ძალიან კარგად იცის მთელმა მსოფლიომ, რომ აგრესორი არის ის, ვინც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი ჯარით შედის და აღარ გამოდის იქიდან. ქართული ჯარის საჯარისო შენაერთები რუსეთის ტერიტორიაზე არ შესულან! ისინი შემოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და ისევ აქ არიან! ამიტომ, აქ კითხვის ნიშანი არ არის. ესეც ვაშაძის, ბოკერიას და სააკაშვილის დამსახურებაა, რომ დღეს ამ თემაზე პოლემიკა მიდის. ეს პოლემიკა სჭირდება ზუსტად რუსეთს. რუსეთს სჭირდება და არა ჰააგას და სტრასბურგს! ჰააგამ და სტრასბურგმა ძალიან კარგად იციან, ვინ არის ოკუპანტი და ვინ არის იმპერიალისტი, რადგან რუსეთი არა მარტო საქართველოში, არამედ მოლდოვაში, სირიაში და უამრავ ქვეყანაში იმავეს აკეთებს, რასაც საქართველოში. ამიტომ არავინ დასვამს ჰააგაში და სტრასბურგში კითხვას, ვინ არის აგრესორი, ძალიან კარგად იციან იქ!

2008 წლის 2 ოქტომბრის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას ხელს აწერს მანქურთი კანდელაკი, რომელიც დადიოდა და ევროპის პარლამენტში დეპუტატებს ეუბნებოდა, საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაციას ხმა არ მისცეთო. ჩიორა თაქთაქიშვილი აწერს ხელს, პეტრე ცისკარიშვილმა მოაწერა ხელი და გიგა ბოკერია იყო კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც დაუდასტურა ყველას, რომ 7 აგვისტოს, გამთენიისას, ცეცხლი სააკაშვილმა გახსნა და ამან განაპირობა ომი. შავით თეთრზე წერია ეს რეზოლუციაში, რომელიც სტრასბურგშიც დევს, ჰააგაშიც, ნიუ-იორკშიც და ვენაშიც. ეს არის სახე იმათი, ვისაც ებრძვის სალომე და ებრძვის მარტო. სირცხვილია! ქართველმა ერმა მხარი უნდა დაუჭიროს ამ უთანასწორო ბრძოლას სიბნელის, შავი ძალის წინააღმდეგ და მაგათი ორი სახის – აქეთ ბაქრაძე და იქით – ვაშაძე. ერთი სამჭედლოდან არიან გამოსულები!

**– ბატონო გოგა, როგორია თქვენი მოლოდინი, გაიმარჯვებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი ამ არჩევნებში?**

– ყველაზე მეტად მომზადებული, ევროპულად მოაზროვნე, ყველაზე მეტად გათვითცნობიერებული და ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი, რომელმაც დღეს შეიძლება ძალიან დიდი სამსახური გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტის რანგში იმ უფლებამოსილებით, რაც დღეს პრეზიდენტს გააჩნია, არის სალომე ზურაბიშვილი. თუ ამ ქვეყანას გონება არ დაუკარგავს და დარწმუნებული ვარ, ეს ასეა, იმიტომ, რომ ეს არის ქრისტიანი ხალხის ქვეყანა, მართლმადიდებელი ხალხის ქვეყანა და გონიერი და ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, პირველივე ტურში დაანგრევს ამ ბნელ ძალას და იმედი მაქვს, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამს, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოების მხარდაჭერით!

**მარიამ პაიჭაძე**

# ყოფილი თანამდებობის პირებს შესაძლოა ტრანსპორტი და მძღოლი დაენიშნოთ

**თუკი ყოფილი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების დაცვის საჭიროება არ არის, ჩვენ დაცვა უნდა ჩავანაცვლოთ ტრანსპორტით და მძღოლით – ამის შესახებ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.**



**„ერთი წელი ჩვენ მოგვცემს საშუალებას დაკვირვების, რისკების შეფასების. ამის შემდეგ გადაწყდება მათთვის დაცვის შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხი. არა მგონია, რომ დაცვის არსებობა ვინმესთვის კომფორტული იყოს. არ ვიცი, რატომ ფიქრობენ, რომ თუ საჭიროება არ არსებობს, დაცვა მაინც უნდა შენარჩუნდეს. ვფიქრობ, რომ ეს ხალხი უნდა ვუზრუნველვყოთ ტრანსპორტირებით, აღნიშნული საკითხი მთავრობის დადგენილებითაც შეიძლება დარეგულირდეს. თუ დაცვის საჭიროება არ არის, ჩვენ დაცვა სპეციალური ტრანსპორტირებით და მძღოლით უნდა ჩავანაცვლოთ. ამაზე ევროპული გამოცდილებაც მიგვითითებს. დაცვა სადაც საჭიროა უნდა დავტოვოთ, სადაც საჭირო არ არის, მოვხსნათ და სხვა მომსახურე საკითხებით ჩავანაცვლოთ“, - განაცხადა ანზორ ჩუბინიძემ ყოფილი პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრებისა და პარლამენტის თავმჯდომარეების სახელმწიფო დაცვის შეზღუდვის ინიციატივაზე საუბრისას.**

**გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის გულად ფეტელავას (გური ოტობაიას) რომანი „სიცოცხლემისჯილი“.** გამოცემის რედაქტორი გახლავთ ქალბატონი **ელზა მეტრეველი.** ეს რომანის მეორე შევსებული გამოცემაა. პირველი გამოცემის შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა. ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა მკითხველში რომანის გამოსვლის პირველივე დღეებიდან არ წყდება. სხვაგვარად არც ეგების, ეს ხომ ცნობიერების ნაკადის სტილის პირველი ქართული რომანია, რომელსაც ერთი სულის ამოთქმით ვერ წაიკითხავ, თანაც მკითხველი ფილოსოფიურ აზროვნებასთან უნდა იყოს წილნაყარი და ისე გაითავისოს ეს რომანი. პირველი გამოცემის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა როგორც ავტორის ცხოვრებაში, ისე მის ცნობიერებაში, სამშობლოშივე დევნილად ქცეული გულად ფეტელავა შვილმკვდარ მამადაც იქცა, თავად გახდა ცხოვრების ორომტრიალში სიცოცხლემისჯილი, მაგრამ თავისი პირმშოსთვის, პირველი რომანისთვის არ უგანია — შეავსო, დახვეწა და ერთიორად გაზარდა, თუმცა პირველყოფილ ხაზსა და სტილს არ გადაუხვია.




# სიცოცხლემისჯილი ავტორის „სიცოცხლემისჯილი“

**„...სიცოცხლემისჯილის ესთეტიკური ხელწერა ტრადიციული და ავანგარდისტული პროზის ერთგვარი სინთეზია. გასული საუკუნის 90-იანი წლების პერიოდის ეროვნული კრიტიკის შეფასებით, ეს არის ცნობიერების ნაკადის სტილის პირველი ქართული რომანი... კათარზისის, განწმენდის პროცესი ,,სიცოცხლემისჯილის“ გმირების მთავარი მახასიათებელი ფასეულობაა. მათი ფსიქე კონსტრუირებულია პიროვნული სიმწიფით, შესანატრი გონებრივი უნარებით, ინსაიტით და სულიერი სისუფთავით. ისინი ფლობენ იშვიათი ფსიქოწყობის ჰარმონიას, რასაც ფსიქოლოგიაში სულიერ სიჯანსაღესაც ეძახიან...“**

ეს ფრაგმენტი წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობიდანაა. მე ორიოდე ფრაზას დავესესხე ამ შთამბეჭდავი წერილიდან. ეგ არის და ეგ. რაც შეეხება თავად ჩემს განწყობილებას რომანისადმი, ცხადია, განსხვავებულია, მის ლაბორატორიულ პროცესში ჩახედული ძმადნაფიცის პოზიციიდან.

ამ რომანის პირველი ნაწილის პუბლიკაციაზე იმედიანი სიტყვა ბრძანა ქართული ენის მეტრმა, ბატონმა **გურამ გოგიაშვილმა**. მართალია, მას არ დაუკონკრეტებია თავისი შეხედულებები, მაგრამ პოზიტიური დამოკიდებულება გაირკვა და ბევრმა ყურად იღო პროფესიონალის დადებითი შეფასება.

მე უფრო მეტის მნახველი ვარ.

ყველაფერი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, როდესაც სრულიად ახალბედა ჟურნალისტმა მუშაობა დავიწყე მაშინდელი მინისტრთა საბჭოს ყოველკვირეულ გაზეთ **„რესპუბლიკაში“**, რომელსაც აწ განსვენებული **ჯემალ ნინუა** რედაქტორობდა. სწორედ იქ გავიცანი **გულად ფეტელავა**, ახალგაზრდა მწერალი და პუბლიცისტი, რომლის რომანს „სიცოცხლემისჯილს“, რომელიც ცალკეულ ნაწილებად ჟურნალ **„ცისკარში“** იბეჭდებოდა, წიგნის სახით დღის სინათლე რამდენიმე თვის ნანახი ჰქონდა. ბატონმა ჯემალმა ავტორის მიერ ნაჩუქარი წიგნი გამომიწოდა და ჩვეული სიდინჯით მითხრა — გულდასმით წაიკითხე, თუ გსურს, რეცენზიის სახით დაწერე, თუ გსურს ავტორთან გააკეთე ინტერვიუ, ოღონდ ნუ იჩქარებ, ძალზე განსხვავებული ხედვის ავტორია, ცნობიერების ნაკადი კი, რომელიც თითო-ოროლა მწერლის შემოქმედებაში თუ შეგხვდება, აქ მძაფრადაა წარმოდგენილიო — ბოლოს ისიც დაამატა — შეგიძლია ცნობილ მთარგმნელს, მწერალსა და პუბლიცისტს, ბატონ **გურამ გოგიაშვილს** შეეხმიანო, ეს წიგნი მას წაკითხული აქვს და მისი შეფასებაც დაგეხმარებაო.

ასე გავიცანი ჩემი ძმადნაფიცი, მწერალი გულად ფეტელავა, იგივე გური ოტობაია.

ეს პერიოდი ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით გაზეთ **„ქართველი ერის“** რედაქციაში. ხშირად სტამბაში ერთმანეთს ვუთავსებდით კორექტურულ სამუშაოებს მწირ პურმარილზე, ლუდი, ნაფოტა თევზი, შავი პური და აქა-იქ არაყიც. იმხანად ჩვენს გაზეთს სტილისტურ სამსახურს უწევდა მაღალპროფესიონალი, ნათელი გონების **დიმიტრი გულისაშვილი**. და რადგან გური ოტობაია ხშირად იბეჭდებოდა დასახელებულ პერიოდიკაში **ვატო ნადირაძესთან** მეგობრობის გამო, ჰკითხა ერთხელ ბატონმა დიმიტრიმ **ნოდარ ტაბიძისებურად:** ,,ყმაწვილო, უფრო სერიოზულზე ხომ არ მუშაობთო“. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და ახლახან გამოცემული რომანი დაუსახელა — **„სიცოცხლემისჯილი“.**

მოეწონა სათაური ბატონ დიმიტრის, უკვე ყველაფერია ნათქვამი და საინტერესო, იქ როგორ ხდება ამ სათაურის გამართლებაო.

ძმადნაფიცი ჩემი, ხშირად ჩამახედებდა ხოლმე ავტორის ლაბორატორიულ სამუშაოებში, მაკვალიანებდა ცნობიერების ნაკადის სტილისტიკაში, რაც ჩემს მოკრძალებულ მწერლურ ხელწერას მაინცდამაინც ბევრად არ ეხმიანებოდა.

გავიდა რამდენიმე კვირა. გურის ესახსოვრებინა ბატონი დიმიტრისთვის წიგნი. მასაც წაეკითხა, ტუშით აჭრელებული დაუბრუნებია უკან, ახალი გამოურთმევია, ჩასწორებული ეკზემპლარი კი საანალიზოდ გადაუცია. აი, ამგვარი პროცედურის შემდეგ კვლავაც ვსხედვართ, დიქტოფონით შეიარაღებული ბატონი დიმიტრისა და გურის საუბარს ვიწერ. საუბარი კი არა, კამათი, თავიანთი აზრების დამტკიცება და „ხელჩართული“ ომია. რეცენზიის დასაწერად უკეთეს შემთხვევას ვერ ინატრებ, არც ინტერვიუსთვისაა გამონაკლისი შემთხვევა. წიგნი წაკითხული მაქვს, საუბარში არ ვერთვები ისევე, როგორც ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი ჟურნალისტი და მწერალი გივი თევზაძე. ვატყობ, გივისთვისაც უცხო ხილია „ცნობიერების ნაკადი“, გივისთვის, რომელსაც ჭაბუა ამირეჯიბთან აკავშირებს დიდი ხნის მეგობრობა და „დათა თუთაშხიას“ დედანში წამკითხველი და სტილისტიც გახლავთ. სახელდახელო სუფრასთან, ახლა მასპინძელია ჩვენი გურია. სადღაც უშოვია კუპონები, უკეთ „ნოზელიანტების“ სერიალს გამოსცემს და უჭყავის ბოლო დროს ჩვეულებრივზე მეტად.

მისი სადღეგრძელოს ჯერი რომ დადგა, ბრძანა დიმიტრიმ უშურველად, გოგლას „ნატვრის ხის“ შემდეგ ამდენი ხანი ნაწარმოების კითხვაში არ გამიტარებიაო.

გური ნაღვლიანია. სადღაც შორეთში იმზირება. მერე „დააბრეხვებს“ ასეთს:

მე რა მწერალი ვარ, ათეული წლის განმავლობაში შექმნილს, ჟურნალ „ცისკარში“ ორჯერ გამოქვეყნებულს ასე რომ მიმიჩეხმომიჩეხავ. აბა, რაღა მწერალი მეთქმის სტილისტიკის ინჩი ბინჩში რომ არ ვერკვევი თურმე, თანაც **ნოდარ ტაბიძისა** და **მამია ებრალიძის** მოწაფე?

— ნამდვილი მწერალი ახლა ხარ, ამისი აღიარება რომ შეგწევს. ეს სტილისტური ცდომილებანი, ყმაწვილო, მთელი ქართული მწერლობის სენია, ძირითადად რუსიციზმები, კრებითის შეუთანხმებლობა მრავლობითთან, ორმაგი უარყოფები. ხომ გითხარით, გოგლასთან მუშაობამ გამაწამა-მეთქი. აი, შენთან საქმე სხვანაირად ყოფილა.

— მართებული შენიშვნის გაუთვალისწინებლობა სირეგვნეა, ბატონო დიმიტრი, არის ამის თაობაზე ანდაზა ჩვენში — აფხაზის წყევლა: ,,არც შენი გაცოდინა და ნურც სხვისთვის დაგეჯერებინოსო“.

— ეგ ებრაელების უფროა! — უკომპრომისოა დიმიტრი გულისაშვილი.

— იყოს ებრაელების, მთავარი ხომ შინაარსია. მაგრამ ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს თქვენი შენიშვნა ყველა უკლებლივ მიმართავს ჩინებულ ლიტერატორთან **ლევან ბრეგაძესთანაც**, რომელმაც არაფრისდიდებით დამანება, რომანს რქმეოდა „რინამისჯილი“, გაუგებარიაო. რინამისჯილის შემთხვევში რომანი ყველა ენაზე ამ სახელით იმოძრავებდა, „გიტანჯალივით“, მაგრამ აგდო ქვა და შეუშვირა თავი. როგორც ვაკვირდები, ქართული მწერლობა გაურბის მეგრული სიტყვების შემოტანას ეროვნულ მწერლობაში, როცა აკაკი, ილია ამ კუთხით აქეზებენ ჩვენს ბელეტრისტებს, ამოკრიფონ ეს მარგალიტები და ჩაანაცვლონ უცხოურს.

ბატონი დიმიტრი, გვარიანად ასაკმოყრილის კვალობაზე, სიფრთხილით ეკიდებოდა სპირტიან სასმელს, წრუპავდა მხოლოდ, მაგრამ ვატყობდი, ესეც მოქმედებდა მის გაწონასწორებულ ბუნებაზე, და ერთ მომენტში გაფიცხდასავით; მაშ როგორ მოვიქცეთ, გადავაყოლოთ ჩვენი მწერლობა ორღობის დიალექტებს, იმერულს, გურულს, მეგრულს. ამ კუთხით ვაჟაა ეტალონი, მისი პოეზია და პროზა, კარდინალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ერთი ფშაურ კილოზეა გამართული.

— აკაკი რომ უწუნებს... — ჩაერევა გური.

— და ვერ არის აქ მთლად მართალი ჩვენი მგოსანი. მაგრამ პროზას შეხედეთ, მსგავსი სიანკარის მთხრობელი არ დაბადებულა ქართულ სინამდვილეში. ილია სხვა მოვლენაა, ილია ამოუწყავი ზღვაა. მან ზედმიწევნით გათვალა ნაწილისა და მთელის დამოკიდებულება პროზაში, ამ შემთხვევაში მთელი მწერლის ენაა და ნაწილი პერსონაჟისა. მარტო ლელთ ღუნიას მოხევურად მოქცევა რად ღირს:

— ლელთ ღუნიასთვის შეიძლება მოხევურად მოქცევა და ჟიჟი ანთარისათვის არა?!

ბატონმა დიმიტრიმ იყუჩა ერთხანს, უპა-

ვიღე. კარგი დიდი სტილისტი ბრძანდებით, დიდი გამოცდილების და ძნელია, აქ კაცი შეგეკამათოთ. ჩემი საფიქრალი სხვა რამეა, ენობრივი მასალა, ენობრივი ქსოვილი, რასაც თქვენ ხშირად კახურ-ქართლური დიალექტით მიცვლით. ჩემი რომანის გმირები ხომ სამეგრელოში მოქმედებენ, თანაც XIX-XX საუკუნეების სამეგრელოში. იქ წესით საუბარი მეგრულ ენაზე უნდა იყოს.

— ეგ ძველი ამბავია, ტოლსტოიმაც სცადა ფრანგული საუბრები უხვად შეეტანა „ომი და მშვიდობის“ ეპოპეაში, მაგრამ კრიტიკამ არ მიიღო.

— მე მხედველობაში არა მაქვს სიტყვები, მეგრული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც კოლორიტის შესანარჩუნებლად მჭირდება მეტწილად. აი, მაგალითად, თქვენ მაფშალიას სპარსულ ბულბულად შემიცვლით ხოლმე, ან ბერძნულ იადონად. გამარკვიეთ ან ერთი, ან მეორე რამეთი სჯობია მეგრულ მაფშალიას, მესკია ჩიტს. ამაზე მომდის გული. ამ ასპექტით ბევრი კამათი გასუხოდ დატოვა ეს კაპრიზი. შემდეგ განაგრძო ძველებური სიდინჯით, — მთავარი მწერლობაში სახელმწიფო ენის ზეიმია, დანარჩენი — მისი დამხმარე ელემენტები უნდა იყოს. ეს არის არსებითი.

პასუხმა არ დააკმაყოფილა გური და საკმაოდ მწარედ გამოუვიდა შემდეგი ფრაზა: გამოდის რომ ქართლ-კახურის ჭკუაზე უნდა იაროს დანარჩენმა საქართველომ, იმერეთმაც, გურიამაც, სამეგრელომაც, სვანეთმაც, ლაზეთმაც, რომელიც, ფაქტობრივად, დავკარგეთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი უსულგულო დამოკიდებულებით. ამიტომაც წაგვკბენენ ხოლმე სახაროვის ტიპის ინტრიგანები — პატარა იმპერია ხართო.

— ახლა მთლად დაუკრეფავში ნუ გადახვალ. რატომ გიკვირს, ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის ენას მინიჭებული ჰქონდეს სახელმწიფო ფუნქცია. განა შემთხვევით იტყოდა ილია: მამული, ენა, სარწმუნოებაო. აქ ჩვენ სტილისტურ თავისებურებებზე ვისაუბრეთ, მის ენობრივ ქსოვილზე, მაგრამ არაფერი გითქვამს თვით შენი რომანის სტილისტკაზე, რომელიც ჩემთვის დღემდე ბუნდოვანია. მე ვერაფრით შევეწყვე ამდენ ხაზგასმებს შავი შრიფტით, ამდენ ასომთავრულებს გმირის გვარ-სახელებით. არ მესმის და მომკალი. კი, თითქოს მისდევს კონტექსტს, კი, რაღაც მომენტითაა ნაკარნახევი, მაგრამ ეს ყველაფერი ფრაგმენტულობის, მოზაიკის წარმოდგენას მიქმნის და მთავარ სათქმელთა უფრო იოლად მისვლის საშუალებას მართმევს.

— „ხმაური და მძვინვარება“ ხომ წაგიკითხავთ, ფოლკნერისა.

— ეგ არა, „დათვი“ დამამახსოვრდა, „სული რომ ამომდიოდა“, „აბესალომ, აბესალომ“, „აგვისტოს ნათელი“. მე ვერ ვხედავ იქ წინააღმდეგობას მწერლობის კაცობრიულ მდინარებასთან.

— „ხმაური და მძვინვარება“ მაინც გამორჩეულია.

— გამორჩეული — რითი? — თვალები უვიწროვდება ბატონ დიმიტრის.

— იმით, რომ, იქ თხრობა სულ სხვანაირია, არა მოყოლა, არამედ სხვათა სიტყვებით, სხვათა ნააზრევით წინადადებების, გვერდების მშვენებლობა. მხოლოდ მესამე წაკითხვის შემდეგ გახდა იგი ჩემთვის გასაგები და მეტად აღტაცებული დავრჩი ამ აღმოჩენით.

— ეს ყველაფერი ზოგადია, უფრო კონკრეტულად თქვი.

— კეთილი. აი, მაგალითისთვის, პერსონაჟი შეხედავს ქუჩის საათს, და გაახსენდება, მამამ, როგორ უსახსოვრა დაბადების დღეზე და ამ გახსენებას მოჰყვება მამის ნათქვამის სიტყვასიტყვით მოტანა. ეს ნათქვამი გამოყოფილი არაა ტექსტიდან რაიმე განსაკუთრებული პუნქტუაციური ნიშნით, ჩემგან განსხვავებით. შავ შრიფტს იმიტომაც ვიშველიებ მე ამ ორი ტექსტის გასამიჯნად, რომ გავუიოლო მკითხველს გმირის ნათქვამსა და მის გონებაში შემოსული პერსონაჟის მოთხრობილს შორის სხვაობის დადგენა, რათა ეს უკანასკნელიც გმირს არ მიეწეროს. ეს მომენტი კარგად აითვისა კინომ — ბერგმანმა, ფელინიმ, ტარკოვსკიმ. იქ წარსული ამბების გახსენებისას იცვლება ფირი, ფერადი თუა მოქმედების დრო, გახსენება შავ-თეთრია, მაყურებელი ძალდაუტანებლად აღიქვამს მას, როგორც ოდესღაც მომხდარს, რომელიც ამწუთას სათანადო გარემოების გამო მოუტანია რეჟისორს.

— ნუ გავაფეტიშებთ ახლა ლიტერატურულ სტილს. მწერლური თხრობა იყო და იქნება ბელეტრისტიკის ბალავარი. დიალოგს აქვს თავისი პეწი, როგორიცაა დონ კიხოტის და სანჩო პანსას დიალოგი, მაგრამ ახლა სად მივდივართ, ეს დიალოგები სულ ერთმანეთის მოგონებებში გადავისროლეთ. როგორ გადალახოს მკითხველმა მათ შორის შინაგანად არსებული კავშირები დროით, მოქმედების ადგილით? აი, შენს რომანში არის მცდელობა, განუმარტო მკითხველებს შემოსული პერსონაჟის ფრაგმენტი, მაგრამ არაფერია ნათქვამი, სად ითქვა იგი, როდის, რა ვითარებაში, რანაირი იყო მაშინ ის პერსონაჟი, რა ეცვა და ასე შემდეგ. ჰომეროსი კომპოზიციის დიდოსტატია, და მაინც იგი ათწლიანი ომის მსვლელობების გადმოცემას იწყებს მეათე წელიწადიდან, აქილევსის რისხვიდან, როცა ყველა ქალს გამოესარჩლება და აგამემნონ მეფეს ჯიქურ შეუტევს, მოუტანია გამოსასყიდი და დაუბრუნე შვილი მშობელსო. აი, აქედან იწყება ,,ილიადა“ გმირებს შორის განხეთქილებით. ახლა შევხედოთ, ცხრა წლის ამბავს განხეთქილების ვაშლიდან მოყოლებულს, ჰომეროსი წვეთწვე-



თობით გადმოგვცემს ამისთვის ხელსაყრელ დროს. შენც დაახლოებით იგივე სტილისტიკურ თავისებურებაზე მელაპარაკები, ოღონდ აქ, როგორც გავიგე, ეს ფრაგმენტები მწერლის ენით კი არ არის მოყვანილი, არამედ გმირის გონებით, გმირის გონებაში ასახული მასალით. ჰომეროსთან რაც თანმიმდევრულია, თქვენებურში ქაოსის ტოლფარდად შეიძლება მოინათლის. ახლა, რანაირად აიძულებ მკითხველს, რომანის მთელი სხეული ერთმთლიანად წარმოიდგინოს, ხომ გაჭყლიტა ტვინი?!

– არის ამაში ჭეშმარიტების მარცვლები, რადგანაც ჯოისი, ფოლკნერი ჯერაც რიგიანად არ არის წაკითხული, გაგებული.

– და შენც ამათ აუბი ფეხი. შენს ნაწერში მე მხიბლავს სიტუაციების სიბასრე, მაგალითად უდანაშაულო დას სიკვდილით რომ სჯიან ძმები, გვარის შერცხვენის ასაცილებლად. იქ დიალოგებში მოგაქვს შენ მშვენიერი ჩარევები, დამატებითი ინფორმაციები ამ დების, ამ ძმების დამოკიდებულებაზე მათ მიერ ჩადენილი საქმის ირგვლივ. ეს მომენტი მომხიბვლელია, მოსაწონი, შემიძლია დავამატო სიახლეც, მაგრამ დიდი მოცულობით ამ ჩარევების შემოტანა დაქსაქსავს მკითხველის აღქმის უნარს და იგი ნაწარმოების ცენტრალური ამბის მიღმა ხვდება.

– აქ ჩემი გადაფიქრება უკვე შეუძლებელია. – თავის ნათქვამზე დგას გური ოტობაია.

– იყავი, ბატონო, ასი მკითხველიდან თითო-ოროლა შემოგრჩება, და იქნები საინტერესო მწერალი, მაგრამ ხელოვნურად რომ ძაბავს სიტუაციას, ხელოვნურად, რომ აკოწიწებს სცენებს.

– სულაც არა, ბატონო დიმიტრი, თქვენ ვერ ამჩნევთ ამ სიახლეს, ან არ გინდათ მისი დანახვა ტრადიციული პროზის პატივისცემით და ეგ არის.

– ახლა კონსერვატორობაც დამაბრალე.

– სიახლეს დანახვა უნდა, ბატონო დიმიტრი. მუნჯი კინოს ქომაგობა არაფერში წაადგა გენიალურ ჩარლი ჩაპლინს. მოგვიანებით თვითონაც მიიღო მონაწილეობა გახმოვანებულ ფილმებში. დოგმატიზმი დამღუპველია ყველგან და ყოველთვის. ტრადიციულის დოგმები გადასინჯა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურამ ბარემ სამოცდაათი წელიწადია და ჯიუტად მიუყვება კვლავაც თავის აღმართს.

– მაგრამ განა დოგმა არ იქნება შენეული ფრაგმენტების დამკვიდრება მთელი სცენის საწინააღმდეგოდ.

– ბატონო დიმიტრი, მერედა ვინ გართმევს ამ მთელს. ცნობისთვის: მაგიდას უსხედან სამნი, სხვადასხვა ასაკის, პროფესიის და სულიერი მდგომარეობის ხალხი. მათ დიალოგს მწერლობა მხოლოდ ლაპარაკით და მწერლისეული ძუნწი საუბრებით გადმოსცემდა. ხოლო რაც შეეხება მათ შინაგან სამყაროს, ლამის განზე იყო გადადებული. ასეთი რამ აისბერგია, ცხრა მეათედი წყლით რომ არის დაფარული და ერთი მეათედი ზედაპირზე ამოშვერილი, ჩვენი მწერლობა ცხრა მეათედს კარგავს ერთი მეათედის წარმოსაჩენად, როგორც ჩვენს დიალექტებს სალიტერატურო ქართულის სახელმწიფოებრივი ფუნქციის წყალობით. – აქ მკვახე მზერას ესვრის ბატონი დიმიტრი ჩემს ძმადნაფიცს, მაგრამ საუბრის სადავე მას უპყრია ხელთ და ვიცი, აწი არავის შეეპუება, არავის წინაშე დაიხევს უკან, გნებავთ მოპაექრედ თვით გენიალური რუსთაველი დაადგეს თავზე.

* * *

**მერამდენე** თვეა, გადმომცა გურიმ თავისი რომანი. მე ამასობაში გაცნობილი ვარ ჯოისს, ფოლკნერს, პრუსტს, კამიაუს, ფრიშს, და მართლაც ზეიმი მგონია გური ოტობაიას „სიცოცხლემისჯილის“ კითხვა, რომელიც სავსეა გზადაგზა ფეთქებადი ნაღმებით – სიუჟეტებით, სცენებით, რაღაც ფრაგმენტულობით, მაგრამ გმირის ცხოვრებაში დაგროვილი მასალით გადმოცემულით, რომელიც უფრო სრულყოფილს ხდის გმირის სულიერ მდგომარეობას, უფრო გასაგებს ხდის მის მოქმედებას. ერთი პიროვნება უქვემდებარებს ამ ზღვა მასალას და ასე წვეთ-წვეთად ამოიზრდება საკუთარი განვლილი ცხოვრება გმირის წინაშე, არა ბავშვობიდან სიბერემდე, არამედ იმის მიხედვით, დროის ეს მონაკვეთი რა მომენტმა, სად გაახსენა, ჯერ ჭარმაგობისა, შემდეგ ხანდაზმულობის და ბოლოს სულაც სიყმაწვილისა. აი, თავისებურება, რომლის გამო კომპრომისული საუბარი ვერ შედგა პროფესიონალ სტილისტთან, ბატონ დიმიტრი გულისაშვილთან.

**მამუკა ვაშაკიძე.**

14. 09. 2018 წ.

# ირაკლი კობახიძე: „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც განაპირობა საქართველოში რუსი ჯარის შემოსვლა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის თქმით, ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნების“ ძალისხმევით წარსულს ჩააბარა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მთლიანად იყო აგებული კორუფციაზე, აგებული იყო ტოტალურ ძალადობაზე, მედიის სრულ მონოპლიზაციაზე.**



მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც განაპირობა საქართველოში რუსი ჯარის შემოსვლა. კობახიძის თქმით, სწორედ მათ შეუწყევს ხელი კრემლის სცენარის განხორციელებას

**„ნაციონალური მოძრაობა“ არის ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც განაპირობა საქართველოში რუსი ჯარის შემოსვლა, სწორედ მათ შეუწყევს ხელი რუსული, კრემლის სცენარის განხორციელებას. მათ აქვთ ძალიან დიდი დანაშაულები ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის წინაშე და ჩვენ მოვახერხეთ ამ ძალიან მძიმე რეჟიმის წარსულში ჩაბარება და მათთვის საკადრისი პასუხის გაცემა.**

**ეს გააკეთა ქართველმა ხალხმა 2012 წელს და ეს გაკეთდა ყველა შემდგომ არჩევნებში ქართველი ხალხის მიერ. ეს არის ის მიღწევა, რომელსაც ჩვენ შევინარჩუნებთ“,** — განაცხადა კობახიძემ. მისი განცხადებით, ამ ექვსი წლის განმავლობაში მმართველმა პარტიამ უზრუნველყო ტოტალური ძალადობის, ელიტური კორუფციის აღმოფხვრა და გაათავისუფლა მედია მონოპოლიებისაგან.

**„ეს არის „ქართული ოცნების“ მიღწევა. თუმცა ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი რამ გასაკეთებელი, მთავარი პრიორიტეტები ჩვენთვის არის ზრუნვა უსაფრთხოების განმტკიცებაზე, ჩვენი საბოლოო მიზანი არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენი მიზანია, რა თქმა უნდა, ეკონომიკის გაძლიერება, რაც ყველა სხვა ამოცანასთან არის დაკავშირებული.**

**ჩვენი ამოცანაა სიღარიბის საბოლოო აღმოფხვრა ჩვენს ქვეყანაში. ეს არის ჩვენი ამოცანები და ამისთვის გაგრძელდება ქვეყნის განვითარება და ამას „ქართული ოცნება“ უზრუნველყოფს.**

**ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს ბუნებრივია, პლუსები და მინუსები. თუმცა მთავარი არის ის, რომ ჩვენ არ ჩაგვიდენია არც ერთი დანაშაული, მით უმეტეს სისტემური დანაშაული ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე.**

**ეს არის ის, რაც ახასიათებდა წინა ხელისუფლებას. ჩვენ ვართ დაფუძნებული თვისობრივად ახალ ღირებულებებზე, ჩვენ ვართ ორიენტირებული იმაზე, რომ განვავითაროთ ქვეყანა. ფუნდამენტურად შევცვალეთ ჩვენს სახელმწიფოში ვითარება დემოკრატიის კუთხით, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ყველა მიმართულებით თავისუფლება არის ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა.**

**ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ მოღალატეობრივი და დანაშაულებრივი ძალა, რომელიც ვეღარასდროს დაბრუნდება ხელისუფლებაში და ვეღარასდროს შეუქმნის საფრთხეს ქართულ დემოკრატიას, ჩვენს საზოგადოებას და ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ და ისინი ვერასოდეს დაბრუნდებიან ხელისუფლებაში“,** — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

# მამუკა ბახტაძე: ჩვენი მთავარი მიზანია თანამედროვე სტანდარტების მქონე და თავდაცვისუნარიანი შეიარაღებული ძალების განვითარება, რომელიც იქნება სრულ თანხვედრაში ნატოს სტანდარტებთან

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინიტრმა მამუკა ბახტაძემ სამხედრო ავიაციის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს საჰაერო სივრცე თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი დაცვა ქვეყნის ღირსების საქმეა. მამუკა ბახტაძის თქმით, ამ საქმეში საქართველოს ფასდაუდებელ დახმარებას უწევენმოკავშირე და პარტნიორი ქვეყნები.

**„ქართულ სამხედრო ავიაციას 26-წლიანი გამოცდილება აქვს. თუმცა, მისი ისტორია 100 წელს ითვლის და 1918 წლიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან იწყება, როდესაც პირველი ქართული სამხედრო საავიაციო დანაყოფი შეიქმნა. საამაყოა, რომ ჩვენმა სამხედრო მფრინავებმა ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ გამოიჩინეს თავი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის საქმეში“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთ



ინიციატივას წარმოადგენს.

**„სწორედ ეს განაპირობებს ჩვენს განსაკუთრებულ სტრატეგიულ ურთიერთობას საფრანგეთთან, რომელიც ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ამ საქმეში. ამჟამად უკვე საქართველოშია საჰაერო თავდაცვის სისტემები — რადიოლოკაციური სადგურები და ახლო მოქმედების საზენიტო-სარაკეტო სისტემები, რომელთა ჩამოტანა ფრანგულ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მოხდა. ამიერიდან საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ უფრო დაცული და ეფექტიანად კონტროლირებული იქნება“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, საჰაერო თავდაცვის საშუალებების გარდა, მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით და დახმარებით ასევე უმჯობესდება ქართული სამხედრო ავიაციის საჰაერო-სატრანსპორტო და ლოგისტიკური-შესაძლებლობები.

**„მიმდინარეობს აგრეთვე შვეულმფრენების პარკის განახლება — რემონტი და მოდერნიზება, რაც ხელს შეუწყობს თვისებრივად ახალი, დასავლური სტანდარტების ქვედანაყოფის ფორმირებას. ეს შექმნის მყარ ბაზას მოძველებული ტექნიკის თანამედროვე საფრენი აპარატებით ეტაპობრივი ჩანაცვლებისათვის. შედეგად ქვეყანას ეყოლება მნიშვნელოვნად მაღალი შესაძლებლობების მქონე შვეულმფრენები, რომლებიც ეფექტიანად შეასრულებენ არა მარტო თავდაცვის სამინისტროს დავალებებს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ქვეყნის მასშტაბით სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ოპერაციებში“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

# ფრანგული საჰაერო თავდაცვის საშუალებები უკვე საქართველოშია

**უკვე საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ უფრო დაცული და ეფექტიანად კონტროლირებული იქნება. ფრანგულ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტებით გათვალისწინებული რადიოლოკაციური სადგურები და ახლო მოქმედების საზენიტო-სარაკეტო სისტემები უკვე საქართველოშია. საჰაერო თავდაცვის საშუალებები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ალექსეევკას შერეულ საავიაციო ბაზაზე დაათვალიერეს, სადაც სამხედრო ავიაციის დღე აღინიშნა.**

ღონისძიება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპული მფრინავების მემორიალის გვირგვინით შემკობით დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისა და წუთიერი დუმილი შემდეგ, პირად შემადგენლობას სიტყვით პრემიერ-მინისტრმა, თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა მიმართეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც ტექნიკის დათვალიერებით დასრულდა. საავიაციო ბაზაზე ფრანგული კომპანიისგან Thales LAS SAS lf MBDA-დან შესყიდული რადიოლოკაციური სადგურები, მართვისა და მოხსენების მობილური ცენტრი და ახლო მოქმედების საზენიტო-სარაკეტო სისტემები გამოიფინა. საზენიტო-სარაკეტო სისტემები მსოფლიოში ამ კლასის საშუალებებს შორის საუკეთესოა და მეტად ეფექტურია როგორც მხარდამჭერი ოპერაციებისათვის, ასევე მაღალი მნიშვნელობის ობიექტების დასაცავად.

**ალექსეევკას შერეულ საავიაციო ბაზაზე გამოფენილი იყო ასევე, ვერტმფრენები, რომლის პარკის განახლება და მოდერნიზაცია აშშ-ის მხარის დახმარებით მიმდინარეობს. ვერტმფრენების პარკის განახლების შემდეგ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მნიშვნელოვნად მაღალი შესაძლებლობების მქონე შვეულმფრენები ეყოლება, რომლებიც ეფექტიანად შეძლებენ არამარტო თავდაცვის სამინისტროს დავალებების შესრულებას, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის მასშტაბით სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებში ჩაერთვებიან.**



# „მეზობელო კარისაო, სიბნელე ხარ თვალისაო?!“

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 19 სექტემბრის ნომერში ვიხილეთ ბატონი გურამ გოგიაშვილის სტატია სათაურით: „გაცრუკაცებულნი მჯღაბნელნი ქვეწარმავალნი რუსულ-სომხური ნოეს კიდობნიდან“.**

სტატია ეხება მოსკოვში გამომავალ რუსულ-სომხურ გაზეთ „ნოეს კიდობანში“ გამოქვეყნებულ არაერთ მასალას საქართველოს შესახებ. „ამ რუსულ-სომხური გაზეთის 4880 ნომრიდან, არც ერთი ნომერი არ არის, რომლის ფურცლებზეც საქართველო და ქართველობა მავნე სიცრუის შენიღბვის მიზნით, რაღაც კარგის აქა-იქ ულონოდ გაკრთომა-გაციმციმების გარდა, ძირითადად გამოყვანილნი არიან ბაცაცებად და სხვათა ისტორიის, ამ შემთხვევაში სომხეთის ისტორიის მძარცველებად და ყოველივეს სიკარგის მიმტაცებლად“ – წერს სტატიის ავტორი.

ბატონ გურამს დიდ მადლობას ვუხდი ამ წერილის გამოქვეყნებისთვის და მოკრძალებით ვურჩევ რუსულ ენაზე თარგმნას, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებას, პარალელურად აღნიშნული გაზეთისთვის გაგზავნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთობ საინტერესო და სომეხთა დასაფიქრებელი ნაშრომი ჩვენი ქვეყნის ვიწრო წრის გულის ფხანის მეტს არაფერს მოიტანს. არც ვინმე შეიწუხებს თავს იმ ინტელიგენციიდან, ვისაც ბატონი გურამი ბოდიშის მოხდით მიმართავს.

არადა, ბოდიში არა ბატონ გურამს, არამედ იმათ აქვთ მოსახდელი, ვისაც მთარგმნელი აწუხებს: „რატომ ვართ ასე გაკმენდილნი, რატომ გვაქვს ასე სამარცხვინოდ ენა მუცელში ჩაგდებული. წარმოგიდგენიათ „ნოეს კიდობნის“ გამოსვლიდან დღემდე თითქმის 5000 ნომერში, ასევე თითქმის 5000 ანტიქართული ესა თუ ის, დიდი თუ პატარა გამოხდომა ვრცელდება (ტირაჟი 105000) როგორც რუსეთში, ისე ამერიკაში და ევროპაში. ერთი სიტყვით, თუ ზღვა კოვზით დაილია, 5000 ცრუინფორმაციული სილაქი როგორია?! თანაც ამ გამეტებულად გაწნულ სუყოველ სილაქს თუ ძალიან შორს განჭვრეტილი მიზანი აქვს“.

აქვს და მერე როგორი. ნათქვამია – პატარძალი პწკენა-პწკენით დაორსულდაო – დაორსულდება ყველა ისინი, როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ისე მის გარეთ მცხოვრებნი ფალსიფიცირებული სომხური „კვლევის შედეგით“ და რომ იტყვიან – „მერე უყარეთ კაკალი“. თავის მართლება უკვე უაზრო და დაგვიანებული, ვიღას სჭირდება?!

არადა, რა ხანია ჩვენი მეზობლები ისტორიის ფალსიფიცირების გზას ადგანან და სისტემატურად ისეთს ისვრიან მედიაში, ჟურნალებსა და ისტორიის ამსახველ სპეცლიტერატურაში, უდავოდ შეგშურდებათ. შეგშურდებათ არა სიცრუეზე აგებული ისტორიული წიაღსვლები, არამედ თანმიმდევრული, შეუპოვარი პოლიტიკა – სისტემატური და არა იშვიათი, პერიოდული.

სიტყვა „პოლიტიკა“ ვახსენე არა იმიტომ, რომ წამომცდა, არამედ ქმედებას, რასაც მეზობელი სომხეთი სჩადის – შორს გამიზნული პოლიტიკაა. ისე, როგორც ქართული ისტორიული ძეგლებისთვის ღამღამობით ძირის გამოთხრა, ფუნდამენტიდან ქვების გამოღება, მათზე სომხური წარწერების გაკეთება და ისევ ძველ ადგილას დაბრუნება.

გავიხსენოთ, რამდენ ეკლესიას გვედავება მეზობელი?!

ჩვენიაო, რომ ამბობენ – ნივთმტკიცებად სომხურწარწერებიან ქვებს გვიდებენ წინ. ჩვენ კი, გამოხმაურებაც გვეზარება, მხოლოდ – ნატო-ნატოს ძახილით ვართ გართული. იმ ნატოში თუ ოდესმე შეგვიშვეს, ვინ ვიქნებით ჩვენ – „ჰაიასტანი“?

გასული საუკუნის ბოლოს ერთ-ერთ ტელეარხზე ისეთ საუბარს შევესწარი, სულის გამაწვრილებელი რომ იყო. თემა საქართველოს ისტორიას ეხებოდა, უფრო ზუსტად რუსეთში გამომავალ ენციკლოპედიას, სადაც საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთის ჭეშმარიტების დადგენა იყო საჭირო. იქაც სომხები გვედავებოდნენ.

საავტორო კოლეგიამ წერილით მოგვმართა და ჩვენც, ჩვენი მოსაზრება პირადად უნდა გადაგვეცა მათთვის. ავტორებს სასიგნალო ეგზემპლარიც გამოუგზავნიათ ჩასასწორებლად, თუმცა რუსეთში გამგზავრება, უფულობის გამო ველარ მოგვიხერხებია. სამწუხაროდ, ტექსტი მზის სინათლეს ხარვეზებით შეხვდა.


წარღვნას ქვეყანაზე, რათა გაწყდეს ცისქვეშეთში ყოველი, რასაც სიცოცხლის სული უდგას... შენ კი შეკარი კიდობანი, შედი შენი ცოლშვილით და შეიყოლე ყოველგვარის ხორციელი, ყოველი გვარის ფრინველი, ყოველი გვარის პირუტყვი, ყოველი გვარის ქვეწარმავალი, ყველა წყვილ-წყვილად, რათა გადარჩნენ...“

დაბადება, 6:8 – 19.

მართალი, სრული კაცი იყო ნოე, მხოლოდ იმას ეპოვა მადლი უფლის თვალში. ალბათ, შეეძლო, რომ ყოველი გვარის ქვეწარმავალნი არ შეეყვანა კიდობანში, მაგრამ უფლის ნათქვამს ხომ ვერ გადავიდოდა. და ყველა სულდგმულთან ერთად ქვეწარმავალნიც გადარჩნენ, რომელთაგან ბევრნი უკეთურ ადამიანებად იქცნენ. მე, უწინარესად, რასაკვირველია, მჩხიბავნი, კალამგირნი, ანუ ავად მჯღაბნელი ადამიანები მყვანან მხედველობაში.

ეს უკეთურნი კი, მამისმამეულად, ანუ წარმოშობით „ნოეს კიდობნის“ წყალობით წარღვნას გადარჩენილნი ქვეწარმავალნი, დიდად სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში და ყველა ერში არიან. არა აქვს მნიშვნელობა ქართველი იქნება ეს, სომეხი, ფრანგი თუ იტალიელი, ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლით...

რაც შეეხება „ნოეს კიდობანს“, როგორც ღრმა სიძველის მიმანიშნებელს, ყველას არა აქვს იმის დაჩემების, მითვისებისა თუ მისაკუთრების უფლება, თუ მართლაც ძალიან, ძალიან ღრმად ძველი, წარღვნის წინა დროის ერი არა ხარ.

მე პირადად ერთ-ერთ ასეთ ერად გულწრფელად მივიჩნევ ჩვენს ძველთუძველეს არა მარტო მეზობელ, არამედ თუნდაც მითოლოგიურად ძმა ერს (ჰაოსი და ქართლოსი რა, არ გახსოვთ?!) – სომეხთ, რომელთაც, როგორც ჩვენი, ისე ბევრი სხვა ერისა არ იყოს, უკეთური ადამიანები არ აკლიათ. ცხადია, ზოგს ბევრი ჰყავან ისინი, ზოგს შედარებით ნაკლები. მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის. ბევრნი არიან თუ ცოტანი, ისინი ერთნაირად ამღვრევენ ერთა შორის ალალი ურთიერთობის წმიდათაწმიდა წყაროსთვალს და ამდენი განვლილ-ჩავლილი ათასწლეულის შემდეგაც კრავენ თუ აგებენ ახალ „ნოეს კიდობანს“, ოღონდ იმ „ნოეს კიდობანივით“ ურთხელისას კი არა, უკვე ქაღალდისას და ამ „ქაღალდის კიდობანში“ ვითომ **სიმართლის ქართული იდეოლოგიის წარღვნისაგან გადასარჩენად** გვარიანად გაჯეჯილებულ სიცრუეს ტყუილსა და ნაცილს „ალალადებენ“ (ისევ და ისევ ჩვენთა „ქვათა ღაღადის“ საწინააღმდეგოდ!), ოღონდ არა სომხურად, არამედ უკვე რუსულადაც ან ინგლისურადაც, რა არის, რაც შეიძლება ბევრგან მიცურდეს ეს ახალი...

ადამი და ევაც სომეხნი ყოფილან! იცოდით?! რასაკვირველია, არ იცოდით. ასე რომ, ამ სომხური „ნოეს კიდობნის“ მიხედვით, მთელი კაცობრიობა მამისმამეულად, ანუ წარმოშობით, ჰაოსიდან მოდის. ამ ლოგიკით თვითონ ნოეც რომ სომეხი იყვეს, რა გასაკვირია!).

ალბათ, იკითხავთ, ეს რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ წლევანდელი ივნისის მე-6 ნომერი ამჯერად შენამდე როგორ მოცურდაო? მართალი გითხრათ, მეც მიკვირს და გამკვირვებია, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, ესე იგი მთელი 21 წელიწადი, თვითონ მოსკოვში მცხოვრებ ქართველთაგან, რომელნიც იქ გვარიანად მრავალნი არიან, ერ-

თო წერილში ვეხები...

ეს ნომერი კი, ქართული ისტორიის გულ-

და იეზიდებთან გვერდიგვერდ გაზრდილს, აწ უკვე შორეულ 30-იან წლებზე ვლაპარა-

РУССКО-АРМЯНСКАЯ НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

НОЕВ КОВЧЕГ

№6 (305) июнь 2018 г.

გაცრუკაცებულნი მჯღაბნელნი ქვეწარმავალნი რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნიდან“

ანუ მეზობელმა თუ შემოგაფურთხა და მაგიერი არ შეაფურთხე, უპირო ეგონებიო...

თმა ერთხელ მაინც ვერ შეამჩნია, რომ ამ რუ-

შემატკივარმა მავანმა თამაზ წიკლაურმა მო-

კობ, არასოდეს არ მიგრძნია ყოვლადსაძრახისი ურთიერთუპატივცემულობის ოდნავი გამოვლინებაც კი, რამაც უკვე დიდი ხანია, რაც ჩაილულის წყალი დალია და არაქსის წყალიც დააყოლა...

ახლა ისევ ჩვენს მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ, როგორც თქმულია, ჩვენი სახედრისა ვთქვათ...

რუსულ-სომხური „დამოუკიდებელი“ გაზეთის „ნოეს კიდობნის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია მოსკოველ სომეხთა თემის თავმჯდომარე **პარონ გრიგოლ ანასონიანი,** რომელიც, როგორც მთავარი რედაქტორი, ბუნებრივია, თავის გაზეთში ვრცლად ესაუბრება **„აფხაზეთის რესპუბლიკაში“** სომეხთა თემის თავმჯდომარეს, აფხაზეთის გმირს, დიახ, დიახ, გმირს, ვინმე **გალუსტ ტრაპიზონიანს,** საუბრის სათაური კი ასეთია: **„ჩვენ სტუმრები კი არა ვართ ამ მიწა-წყალზე, არამედ აფხაზეთის სრულფასოვანი მოქალაქენი ვართ“** (ეს სათაური გაზეთის პირველ გვერდზეც არის გამოტანილი!).

# საით მიცურავს რუსულ-სომხური „ნოეს კიდობანი?“...

დღეს გაყალბებულ ისტორიას ეცნობა ყველა, ვინც ამ ენციკლოპედიას ხელს შეავლებს. რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა დანაშაული. არა, ეს არ არის ზერელობა, ზედაპირულობა. ეს დანაშაულია. რამდენი ასეთი ჩავიდინეთ ბოლო 30 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რუსეთს დავშორდით?

უამრავი! ყველა მათგანი ჩვენ თუ არა, ჩვენს შვილიშვილებს დახვდებათ წინ, როდესაც აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან დაგვიმტკიცებენ, რომ ტერიტორია, რომელსაც საქართველო ჰქვია, ჩვენი კი არა, მათია.

რაღა „ხვალე“ ვამბობ, უკვე რა ხანია თურქეთში სკოლის სახელმძღვანელოებშიც საქართველოს ტერიტორიის მსუყე ნაწილები, მათ შორის აჭარა, თურქეთად არის მოხსენიებული და სიმტკიცისთვის რუკებზეც დატანილი.

ვინმეს ახსოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან თურქეთში ჩვენი საელჩოს, ან ქართველ მეცნიერ-თურქოლოგთა საპროტესტო განცხადება აღნიშნულთან დაკავშირებით? არანაკლები სიბეჯითით გამოირჩევა სომხეთიც, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ტერიტორიების (ჯერჯერობით რუკებზე) ქაღალდზე მიტაცებით პირველია. არც სხვა მეზობლები აკლებენ ხელს.

წიგნით ვაჭრობის მსოფლიო ბაზრობებზე უხვად არის წარმოდგენილი სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ისტორიული ლიტერატურა, რომელიც ქართულ წისქვილზე არ უშვებს წყალს.

ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკიდან ორს – აზერბაიჯანსა და სომხეთს ერთობ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს რუსეთთან არა მარტო პოლიტიკისა და სამხედრო მშენებლობის საქმეში, არამედ განათლების, კულტურის, მეცნიერების, ეკონომიკის თვალსაზრისით. მარტო სკოლკოვოს უკვე სახელგანთქმულ სამეცნიერო ცენტრში არაერთი აზერბაიჯანელი და სომეხი ეუფლება მეცნიერებას.

ჩვენ?

ჩვენ – ვლანძღავთ და ვაგინებთ რუსეთს, ნაცვლად თვალის გახელისა და ისეთი საქმის კეთებისა, ერს რომ წაადგება.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკა სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის მიმართ ბოლო 30 წლის განმავლობაში იყო და არის დამთმობი. ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის თავმოხრილია ამ სამი ქვეყნის წინაშე, მაგრამ არის ამაყი, მკაცრი და ხისტი რუსეთის მიმართ, რაც საბოლოო ჯამში წამგებიანია.

წამგებიანია რუსეთში ქართული დიასპორის „მოღვაწეობაც“. ბატონი გურამი სამართლიანად წერს: „ამ ხნის მანძილზე, ე.ი. მთელი 21 წელიწადი, თვითონ მოსკოვში მცხოვრებ ქართველთაგან, რომელნიც იქ გვარიანად მრავალნი არიან, ერთმა ერთხელ მაინც ვერ შეამჩნია, რომ ამ რუსულ-სომხური „ნოეს კიდობნის“ 4880 ნომრიდან, თურმე არც ერთი ნომერი არ არის საქართველოს გარეშე?“.

მოსკოვში მართლაც ბევრნი არიან ქართველნი, მათ შორის ცნობილი პიროვნებებიც, მაგრამ სათვისტომოსთან მათი კავშირი ნულის ტოლია. არადა, სათვისტომო უნდა იყოს სახალხო დიპლომატიის გენერატორი, წარმმართველი ძალა. მან უნდა გასცეს პასუხი მსგავს პასკვილებს. მან უნდა მოახერხოს სამეცნიერო, კულტურული კავშირების დამყარება-განვითარება. ის უნდა იყოს ინიციატორი ორი ქვეყნის ჟურნალისტთა გაცნობა-დაახლოების და ამ მიზნით მოსკოვში ქართველი ჟურნალისტების და პირიქით, მოგზაურობის ინიციატორი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო. სამწუხაროდ, ის ამ საქმეს არ აკეთებს და არც გააკეთებს, ვინაიდან სულიერად შორსაა საქართველოდან. საკუთარი საქმით დაკავებული სათვისტომოს ხელმძღვანელობა საქართველოსთვის რაიმე სიკეთის მომტანი არ არის. ასეთის არსებობას არარსებობა სჯობს.

ქართული სათვისტომოს ფონზე გრგვინავს აზერბაიჯანული და სომხური სათვისტომოები. პრეზიდენტ ალიევის ერთ-ერთი ქალიშვილი აქტიურადაა ჩართული სათვისტომოს ცხოვრებაში. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ საკუთარი ისტორიის დაცვა ქვეყნისთვის უპირველესი რამ არის. მან ისიც იცის, რომ ამ საქმეში რუსეთის გამოყენება-დახმარება საჭირო და აუცილებელია.

რომ იტყვიან, – „ხელი ხელს ბანს, ორივე – პირსო“ – კარგად აქვს გათავისებული აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომლის თაოსნობით არაერთი რუსული სკოლა (141) და რუსული უნივერსიტეტი (ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი) ფუნქციონირებს აზერბაიჯანში. ამით რა – აზერბაიჯანმა სუვერენიტეტი დაკარგა? ან იქნებ რუსული პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცა?

არამც და არამც. აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პოლიტიკა თუნდაც სისხლით მონათესავე თურქეთის მიმართ ცნობილი რამ არის. სომეხი ისტორიკოსების წიაღსვლებით გაბეზრებულმა პრეზიდენტმა ალიევმა შეკრიბა აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მიზნად დაუსახა აზერბაიჯანის და იმ ტერიტორიების, სადაც აზერბაიჯანია, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

მას შემდეგ არცთუ დიდი დრო გავიდა და დღეს აზერბაიჯანელი მეცნიერები ვალს ადებენ სომხებს – ჩამოსულები ხართ და ჩვენს ისტორიულ მიწაზე ცხოვრობთო. აზერბაიჯანის ისტორიკოსთა ნაშრომები, თარგმნილი უცხო ენებზე, უხვადაა სხვადასხვა სახელმწიფოების წიგნების მაღაზიებში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციისა არ იყოს, ჩვენს ისტორიკოსებს, არათუ პასუხის გაცემა, წაკითხვაც ეზარებათ. სალათას ძილს მიცემულნი იმასაც ვერ ამჩნევენ, როგორ ნადგურდება მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ყოფის ამსახველი არტეფაქტები. მხედველობაში მაქვს ხელოვნების მუზეუმის უნიკალური ექსპონატები – ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნიდან დაწყებული.

ხელონების მუზეუმის თავგადასავალი ისე, როგორც საერთოდ სამუზეუმო ცხოვრება, სხვა თემაა და საფუძვლიან განსჯას საჭიროებს, მაგრამ ის, რაც ზედაპირზე დევს და აშკარად მიუღებელია, დღესვე უნდა ითქვას, თუ უკვე დაგვიანებული არ არის. სააკაშვილის სამუზეუმო „ოპტიმიზაციამ“ ყველა მუზეუმს ერთი დირექტორი და ადმინისტრაცია დაუწესა, რითაც უპატრონოდ დატოვა მუზეუმები.

უპატრონობა რომ ქაოსს იწვევს, ფაქტია. ეს ქაოსია ხელოვნების მუზეუმში, სადაც რა ხანია რემონტი მიმდინარეობს და აქედან გამომდინარე უნიკალურ ექსპონატებს, რომელთა ადგილიდან დაძვრაც კი აზიანებს მათ, აქეთ-იქით დააქანებენ.

მუზეუმში შექმნილი სავალალო ვითარების შესახებ საზოგადოებამ ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილისგან იცის, რომელიც ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეკრანიდან სისტემატურად რეკავს საგანგაშო ზარებს. შედეგი – ნული, მაგრამ ქალბატონი ნინო შეუპოვრად იღვწის და მიუხედავად ხელისუფალთა გულგრილობისა, თავგანწირვით განაგრძობს მამულიშვილურ საქმეს.

მუზეუმის სიახლოვეს, ქაშუეთის გვერდით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა. უდავოდ ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღო ქვეყანამ, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ბიზნესმენ გია ჯოხთაბერიძისთვის.

აღნიშნულის თაობაზე მკითხველმა იცის ჟურნალისტ არმაზ სანებლიძის (გაზეთი „საქართველი და მსოფლიო“) და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას („საქართველოს რესპუბლიკა“) სტატიებიდან.

„ამ მუზეუმით საქართველომ მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ შექმნა, არამედ კარგად ჩვენებაც“ – წერს ბატონი ვახტანგი. მე კი დავამატებდი, რომ არ შეგვიძლია ძველის გაფრთხილება, იმ ძველის, რომელიც ფუნდამენტია საქართველოს ისტორიისა და კულტურის; რომელზეც დგას ხელოვნება – ახალი მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში გამოფენილი. ვურჩევდი ბატონებს არმაზ სანებლიძესა და ვახტანგ დავითაიას დაინტერესებულიყვნენ ხელოვნების მუზეუმის ბედით.

ჩვენს მეზობლებს რომ ის საგანძური ჰქონდეთ, რაც ხელოვნების მუზეუმშია (ჯერჯერობით), უნიკალურ საბრძანებელში განათავსებდნენ, ისეთში, როგორიცაა ერევანში, ისტორიული სომხური ხელნაწერებისთვის განკუთვნილი შენობა მატენადარანი.

ხელოვნების მუზეუმის საცავში განთავსებული უნიკალური ექსპონატებისთვის ვერ მოგვიცლია და გაზეთ „ნოეს კიდობნისთვის“ მოვიცლით , სალათას ძილს მიცემულები?!



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## სიჩქარის მზომი კიდევ 7 რადარი ამოქმედდა

**შინაგან** საქმეთა სამინისტრო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით აგრძელებს სიჩქარის მზომი სექციური რადარების მონტაჟს.



თბილისში არსებულ სიჩქარის კონტროლის 4 სექციას კიდევ 2 დაემატა, კერძოდ: მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და გიორგი სააკაძის ქუჩის კვეთიდან აკაკი ბაქრაძის ქუჩის მიმართულებით; ასევე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს და სამტრედიის ქუჩის კვეთიდან ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ხიდის მიმართულებით და პირიქით, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ხიდიდან სამტრედიის ქუჩის მიმართულებით. აღნიშნულ მონაკვეთებზე ნებადართული სიჩქარეა 70 კმ/სთ.

ასევე, 1 ოქტომბრიდან, სამეგრელოს რეგიონში ორმხრივად ამოქმედდება სიჩქარის მზომი 4-წერტილოვანი რადარი, კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტში, თეკლათის საავტომობილო გზის მონაკვეთზე (ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ) და ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის საავტომობილო გზის მონაკვეთზე (ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ). სულ, საქართველოს მასშტაბით, სიჩქარის მზომი 27-წერტილოვანი რადარი იფუნქციონირებს.

## საქართველოში ალტერნატიული ენერგიის მაღალტექნოლოგიური ქარხანა აშენდება

**„საპარტნიორო ფონდის“** აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი დანელიამ აშშ-ში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის თანახმად, საქართველოში პირველი განახლებადი და მდგრადი ენერგიის მაღალტექნოლოგიური საწარმოების მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, „მწვანე ეკონომიკის“ ერთიანი კონცეფციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად, საქართველში ალტერნატიული ენერგიის მაღალტექნოლოგიური ქარხანა აშენდება.

„მემორანდუმის ფარგლებში, „საპარტნიორო ფონდი“ ერთვება აღნიშნულ პროექტში და ჩვენი საინვესტიციო მანდატის შესაბამისად, გამოხატავს მზადყოფნას უცხოელ პარტნიორებთან ერთად, დავაფინანსოთ საქართველოში პირველი განახლებადი და მდგრადი ენერგიის მაღალტექნოლოგიური საწარმოების მშენებლობა,“ — განაცხადა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი დანელიამ. ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში პირველად, გრაფენის ენერგიის შენახვის ტექნოლოგიების საწარმოები, ობიექტები და საოპერაციო ცენტრები აშენდება, რომლებიც განახლებადი და მდგრადი ენერგიის მიმართულებით, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას შეუწყობს ხელს.



### მუნიციპალური განვითარების ფონდი

# შესყიდვის ზოგადი შეტყობინება

| | |
|---|---|
| **პროექტის დასახელება** | საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება |
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **სექტორი:** | ენერგოეფექტურობა |
| **დაფინანსების წყაროები:** | ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაცია (NEFCO); აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი (E5P) |
| **შესყიდვის ტიპი:** | სამშენებლო სამუშაოები, საქონელი და მომსახურება |
| **შეტყობინების ტიპი:** | შესყიდვის ზოგადი შეტყობინება |
| **გამოქვეყნების თარიღი:** | 1 ოქტომბერი, 2018 |

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (NEFCO) მიერ გამოყოფილი სესხისა და აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდის (E5P) მიერ გამოყოფილი გრანტის გამოყენებას საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით: „საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება“. პროექტი, რომლის საერთო სავარაუდო ბიუჯეტი არის 4.7 მილიონი ევრო, მიზნად ისახავს ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვას ქვეყნის 25 საჯარო შენობაში. აღნიშნული შენობების საერთო ფართობია 70 000 მ$^2$ და მდებარეობს შემდეგ ქალაქებში:

- ახალქალაქი: 1 შენობა
- ახალციხე: 6 შენობა
- ყვარელი: 1 შენობა
- ქვემო ბოლნისი: 1 შენობა
- ლაგოდეხი: 1 შენობა
- მცხეთა, არშა: 1 შენობა
- მცხეთა, გორისციხე: 1 შენობა
- ოზურგეთი: 1 შენობა
- რუსთავი: 2 შენობა
- სამცხე, დიდი არაკალი: 1 შენობა
- თბილისი: 6 შენობა
- თელავი: 1 შენობა
- ზუგდიდი: 2 შენობა

პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მოიცავს დიზაინის შემუშავებას, საქონლის მოწოდებას და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას:

- სახურავებისა და კედლების თბოიზოლაცია
- ფანჯრებისა და შემინული ფასადების ჩანაცვლება
- ახალი სავენტილაციო სისტემების მონტაჟი
- ბოილერების ჩანაცვლება და მონტაჟი
- მილების თბოიზოლაცია
- თერმოსტატული სარქველებისა და სხვა ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების დაყენება
- თბური ტუმბოების მონტაჟი
- მზის კოლექტორისა და მზის PV სისტემების ინსტალაცია
- LED ნათურები შიდა განათებისთვის, და სხვა.

ზემოჩამოთვლილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერების გამოცხადება იგეგმება 2018 წლის მეოთხე კვარტალში და დასრულდება 2019 წლის მეოთხე კვარტალში.

NEFCO-ს სესხითა და E5P-ს გრანტით თანადაფინანსებული კონტრაქტებისათვის შესყიდვები განხორციელდება NEFCO-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში მითითებული პროცედურების თანახმად, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.nefco.org/sites/nefco.org/files/pdf-files/nefco_procurement_guidelines_12_dec_2013_0.pdf .

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ირაკლი ფარესიშვილი, მგფ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსი**
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge
მის: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, მე-3 სართული
თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +99532 2437001

### MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

# GENERAL PROCUREMENT NOTICE

| | |
|---|---|
| **Project:** | Energy Efficiency Improvements in Public Buildings and the use of renewables and alternative energy |
| **Country:** | Georgia |
| **Sector:** | Energy Efficiency |
| **Funding sources:** | Nordic Environment Finance Corporation (NEFCO), Eastern Europe Energy Efficiency and Environment Partnership (E5P) Fund |
| **Procurement:** | Works, Goods and Services |
| **Type of notice:** | General Procurement Notice |
| **Issue date:** | 1 October 2018 |

Municipal Development Fund of Georgia intends using the proceeds of a loan from the Nordic Environment Finance Corporation (NEFCO) and grant from the Eastern Europe Energy Efficiency and Environment Partnership (E5P) for the implementation of the Investment Project "Energy Efficiency Improvements in Public Buildings and the use of renewables and alternative energy in Georgia". The Project has a total estimated budget of EUR 4.7 MEUR aiming at implementing energy efficiency measures and including renewable energy sources in 25 public buildings in Georgia, having an area of approximately 70 000 m2 in the following locations:

- Akhalkalaki: 1 building
- Akhaltsikhe: 6 buildings
- Kvareli: 1 building
- Kvemo Bolnisi: 1 building
- Lagodekhi: 1 building
- Mtskheta, Arsha: 1 building
- Mtskheta, Goristsikhe: 1 building
- Ozurgeti : 1 building
- Rustavi: 2 buildings
- Samtske, Didi Arakali: 1 building
- Tbilisi: 6 buildings
- Telavi: 1 building
- Zugdidi: 2 buildings

The Project would require the implementation of the following measures, which would include designing, supply of goods and implementation of works:

- Thermal insulation of roofs and walls
- Replacement of windows or glass facades
- Installation of new ventilation systems
- Installation and replacement of boilers
- Thermal insulation of pipes
- Installation of thermostatic valves and other automation control
- Installation of heat pumps
- Installation of solar collector and solar PV systems
- LED lamps for indoor lighting, etc.

Tendering for implementation of the above listed measures is expected to begin Q4 of 2018 and finish in Q4 of 2019.

Contracts to be financed with the proceeds of a loan from NEFCO and grant from E5P will be subject to NEFCO Procurement Guidelines available at https://www.nefco.org/sites/nefco.org/files/pdf-files/nefco_procurement_guidelines_12_dec_2013_0.pdf .

**For more information please contact:**
***Municipal Development Fund of Georgia***
***Attention: Irakli Paresishvili (Head of Procurement Unit)***
Email: procurement@mdf.org.ge
Address: Third floor, 150 D. Agmashenebeli Ave.
0112 Tbilisi, Georgia
Tel: + (99532) 2437001

ჭადრაკი

# ქართულ დუელში „პირველმა“ იმარჯვა

CHESS OLYMPIAD BATUMI 2018 GEORGIA

**ერთდღიანი შესვენების შემდეგ ბათუმში განახლდა მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა. მე-6 ტურში საქართველოს ქალთა პირველმა ნაკრებმა მეორეს მოუგო და 11 ქულით აშშ-ის და სომხეთის გუნდებთან ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფს. სომხებმა რეიტინგ-ფავორიტ რუსებს სძლიეს, ხოლო ამერიკელები ინდოელებს დაუზავდნენ.**



### ქალები

**საქართველო (1) — საქართველო (2)** 2.5:1.5 (ნანა ძაგნიძე — სალომე მელია 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი — ინგა ჭარხალაშვილი 1:0, ბელა ხოტენაშვილი — სოფიო გვეტაძე 0.5:0.5, მერი არაბიძე — სოფიკო ხუხაშვილი 0.5:0.5); **უნგრეთი-საქართველო** (3) 3.5:0.5 (ჰოანგ თან თრანგი — ნინო ხომერიკი 1:0, ანიტა გარა — მარიამ ჯანიაშვილი 1:0, ტაისია გარა — ლილე ქორიძე 1:0, ჯულიანა ტერბე — თამარ ესაძე 0.5:0.5)... **ინდოეთი — აშშ 2:2, უკრაინა — ჩინეთი 2:2, რუსეთი — სომხეთი 1:3, აზერბაიჯანი — ლატვია 2.5:1.5, იტალია — კუბა 3:1, ლიეტუვა — ყაზახეთი 2:2, კანადა — უზბეკეთი 1.5:2.5.**

**6 ტურის შემდეგ:** აშშ (საერთო მონაგარი 17.5 ქულა), საქართველო (17), სომხეთი (17.5) — 11-11, ხოლო 10 გუნდს 10-10 ქულა აქვს. 14. საქართველო (2) — 9 (17), 51. საქართველო (3) — 7 (14).

### ვაჟები

**ჰოლანდია — საქართველო** (3) 2.5:1.5 (ანიშ გირი-ნოე თუთისანი 1:0, ერვინ ლამი-ლუკა ობოლაძე 1:0, ლიუკ ვან ველი — ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0.5:0.5, ჯორდან ვან ფორესტი — გიორგი სიბაშვილი 0:1); **საქართველო (2) — ვიეტნამი 2:2** (ლუკა პაიჭაძე — ქუანგ ლიემ ლი 0.5:0.5, დავით მაღალაშვილი-სონ ნგუენი 0:1, თორნიკე სანიკიძე — თუან მინ თრანი 1:0, ირაკლი ბერაძე — ჰოი ან ნგუენი 0.5:0.5); **კანადა — საქართველო** (1) 2:2 (ერიკ ჰანსენი — ბაადურ ჯობავა 0:1, რაზვან პრეოტუ — მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, ნიკოლაი ჰორისტინი — ივან ჩეპარინოვი 0.5:0.5, ევგენი ბარეევი — ლევან ფანცულაია 0.5:0.5)... **აზერბაიჯანი-ჩეხეთი 3:1, პოლონეთი — უკრაინა 2.5:1.5, ისრაელი — გერმანია 2:2, ბოსნია — აშშ 0.5:3.5, ირანი — ჩინეთი 1.5:2.5, რუსეთი — ინდოეთი 2:2, ინგლისი — საფრანგეთი 2:2, თურქეთი — ბელარუსი 1.5:2.5, მაკედონია — სომხეთი 0.5:3.5.**

**6 ტურის შემდეგ:** აზერბაიჯანი (19), პოლონეთი (18,5) — 12-12, აშშ-11 ქულა. 10 გუნდს აქაც 10-10 ქულა აქვს. 36. საქართველო (1) — 8 (14.5), 37. საქართველო (2) — 8 (14.5), 38. საქართველო (3) — 8 (16).

* * *

**ჭადრაკის** საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) 2017 წლის საუკეთესო მოჭადრაკე ქალად ევროპის შარშანდელი ჩემპიონი, ბათუმის „ნონას“ შემადგენლობაში კონტინენტის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული და ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალოსანი **ნანა ძაგნიძე** დაასახელა და აჭარის დედაქალაქში ის კაისას თასით დააჯილდოვა.

**ლექსო ცინცაძე**

ლეგიონერი



# ლევან მჭედლიძე: ყველაფერს ვაკეთებ, რომ 100 პროცენტით მზად ვიყო

**საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე ნელ-ნელა უფრო მეტ დროს ატარებს მოედანზე. „ემპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა აურელიო ანდრეაცოლიმ ჩვენებური „პარმასთან“ შეხვედრაში 30 წუთით დატვირთა და ეს უკვე მეორე თამაში იყო ლევანისთვის ბოლო სამ დღეში.**

**„ენიო ტარდინიზე“ სტუმრებმა უფრო კარგად ითამაშეს, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და წააგეს მჭედლიძემ კი, „მილანთან“ მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად ვერ მოახერხა გუნდის მარცხისგან ხსნა.**

**ნამატჩევს ქართველმა ფორვარდმა Radio Lady-სთან ისაუბრა:**

„ეს არ ყოფილა განსხვავებული თამაში, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობთ და გვჭირდება ცოტა იღბალი, რომელიც ადრე თუ გვიან მოვა. თუმცა, უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, როგორც აქამდე ვაკეთებდით.

**— ფიზიკურად როგორ ხართ?**

— ხუთშაბათს „მილანთან“ ასეთი დაბრუნება დიდებული იყო. ვცდილობ, რომ უფრო მოვუმატო და პროგრესი განვაგრძო. ყველაფერს ვაკეთებ, რომ სასურველ ფიზიკურ კონდიციებში ვიყო და, იმედია, ადრე თუ გვიან, 100%-ით მზად ვიქნები.

**— ბევრი საგოლე მომენტი, ცოტა გოლი...**

— როდესაც იღბალი ვახსენე, ეს ვიგულისხმე, რადგან რაღაც გვაკლია. უფრო მეტად თავდაჯერებულნი უნდა გავხდეთ და ამ ასპექტში უნდა გავიზარდოთ. ჩემი აზრით, ამ გუნდს სხვა არაფერი აკლია. როდესაც ასე თამაშობ და მარცხდები, საშინელებაა, იმედგაცრუებაა, მაგრამ ამაზე ბევრი არ უნდა ვიფიქროთ და წინ უნდა ვიყუროთ. ეს უკვე წარსულია და ახლა მხოლოდ „რომასთან“ შეხვედრაზე ვფიქრობთ“.

**გიორგი შოთაძე**

ჭიდაობა

# ვეტერანთა სამი ჯილდო

**სკოპიეში (მაკედონია) დამთავრდა თავისუფალი სტილით ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა სამი მედალი მოიპოვეს. თანატოლებში ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა ტიტულოვანმა ქართველმა მოჭიდავემ, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ლუკა კურტანიძემ: 130 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში მან ბულგარელი დიმიტროვ-კაშინოვი დაამარცხა და ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ოქროს მედალი.**

საქართველოს დელეგაციას მეორე უმაღლესი ჯილდო70 კილოში ამირან ციკვაძემ მოუტანა — გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მან იაპონელ კოჯი ფურუსატუს აჯობა, ხოლო 88 კილოგრამ წონით კატეგორიაში იოსებ ხუციშვილმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**გივი გაგუა**




ჩოგბურთი

# ცივაძემ ყაზახეთში გვასახელა



**ქართველი ჩოგბურთელი გიორგი ციკვაძე ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში გამართული საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარი) გამარჯვებული გახდა.**

იგი ყაზახ გრიგორი ლომაკინთან ერთად წყვილთა თანრიგში მე-3 ნომრად იყო განთესილი და ტიტულის მოგებამდე 4 გამარჯვება იზეიმა.

ცივაძემ და ლომაკინმა გზიდან საწყის რაუნდებში ყაზახები ხასანოვი/ტაშბულატოვი (6:3, 6:3) და ნარბეკოვი/უსიპბეკოვი (6:2, 6:1) იოლად ჩამოიცილეს, ნახევარფინალში რუსეთელებს — ჯანაშიასა და კალინინს 7:5, 6:2 სძლიეს, ფინალში კი ბელარუსები ბური და ზუბკო 7:6 (7:3), 6:3 დაამარცხეს.

**კობა კობახიძე**

დაბრუნება

# ბურჯანაძის ხუთიანები

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელმა ბექა ბურჯანაძემ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა.**

მძიმე ტრავმის მოშუშების შემდეგ 24 წლის „ჯვაროსანი“ ესპანეთის ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში გამოჩნდა, რომელშიც მისი „გიპუზკოა ბასკეტი“ „ფუენლაბრადას“ დაუხვდა და 60:76 დამარცხდა.

ბექა თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 16 წუთში 5 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ქართველმა ფორვარდმა ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.



საინტერესოა, რომ ბურჯანაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 10-ს გაუტოლდა, რაც მასპინძელთა რიგებში მე-2 მაჩვენებელი გახლდათ.

„გიპუზკოა ბასკეტი“ მე-2 ტურის მატჩს ხვალ სტუმრად „სარაგოსასთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფიგურული ციგურაობა



# ქართველთა „ვერცხლი“

**ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში გამართულ პრესტიჟულ ახალგაზრდულ ტურნირზე ფიგურულ ციგურაობაში საქართველოს სახელით მოასპარეზე წყვილმა მარია კაზაკოვამ და გიორგი რევიამ ასპარეზობა მეორე ადგილზე დაასრულა და, შესაბამისად, ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

ქართულმა წყვილმა 154 ქულის მოპოვება მოახერხა, რაც მეორე ადგილისთვის გამოდგა საკმარისი. ოქროს მედლები რუსებმა ელიზავეტა ხუდაიბერდიევამ და ნიკიტა ნაზაროვმა დაისაკუთრეს, ბრინჯაოს მედლები კი მათ თანამემამულეებს დაიანა დევისსა და გლებ სმოლნიკს ხვდათ წილად.

**მანუჩარ გიორგაძე**

სული ნათელი

# ღვთივკალამ-დალოცვილი თამაზ ჭილაძე



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თამაზ ივანეს ძე ჭილაძე, XX და არამარტო XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი, აღიარებული მეტრი თანამედროვე ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურისა, რომელიც თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ქართველ შემოქმედთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფში მოიაზრებოდა, რომელიც, ფაქტობრივად, განსაზღვრავდა თანამედროვე ქართული მწერლობის დონეს და მისი განვითარების პერსპექტივას, ამდიდრებდა რა მას პირველხარისხოვანი ნაწარმოებებით. დიახ, თამაზ ჭილაძე იმ ლიტერატურული თაობის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო, სამოციანელთა სახელით რომაა ცნობილი და რომელმაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თავის მძლავრ ქედზე ამაყად და შეურცხვენლად ზიდა ქართული მწერლობის სახელი და დიდება.

თამაზ ჭილაძე დაიბადა 1931 წლის 5 მარტს სიღნაღში. 1938 წელს შეიყვანეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლაში. საშუალო სკოლა კი თბილისში დაამთავრა (ვაჟთა მე-7 სკოლა). 1949 წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1954 წელს დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ თამაზ ჭილაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორად, ჟურნალ „მნათობის“ მთავარ რედაქტორად და ყველგან, ყოველთვის ნორმა და ნიმუში იყო სულიერი არისტოკრატიზმისა, დახვეწილი ინტელიგენტობისა, რაც თავის თავში კეთილშობილებასა და სათნოებასთან წილნაყარ პრინციპულობასა და შეუვალობას გულისხმობდა.

თამაზ ჭილაძე სამწერლო ასპარეზზე 1951 წელს გამოვიდა, როდესაც თსუ ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა.

მართლაც რომ მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია თამაზ ჭილაძის შემოქმედება, თანამედროვე მსოფლიო მწერლობას რომ უსწორებს თვალს. მისი პოეზია, პროზა, დრამატურგია, ესეისტიკა ჭეშმარიტი, უაღრესად რაფინირებული შემოქმედის ნააზრევს წარმოადგენს.

თამაზ ჭილაძე ნატიფი და უაღრესად დახვეწილი პოეტი იყო, რომლის ლირიკა ისეა დამუხტული პოეტური ხილვებით, პოეტური სახეებით, რომ მკითხველს მისი განცდებისა და ტკივილების თანაზიარს ხდიდა. პოეტის ლირიკული გმირი ხომ მარტოობის არქიპელაგზე ცხოვრობდა და მთებზე დაძენძილი მრუმე ღრუბლები ქრისტეს მეწამული პერანგივით ელამუნებოდა სახეზე. პოეტის ლექსები სიზმრის დარად ბრწყინავს, სიზმრისეული შარავანდით არის მოცული და თუ გაღვიძებაა, ისეთებად უნდოდა თავისი სათაყვანებელი ქართველების გაღვიძება, დიდგორში რომ ვიყავით...

დიდია თამაზ ჭილაძის დამსახურება თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. მისი რომანები და მოთხრობები („აჰა, მიიწურა ზამთარი“, „თეთრი კვამლი“, „პოსეიდონის სასახლე“, „აუზი“, „წერო“, „მდგმურები“, „გასეირნება პონის ეტლით“, „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე“, „ბრეიგელის მთვარე“, „იები“, „კაქტუსის ბაღი“, „ჩამავალი მზის სხივი“) საოცარი სიზუსტით ასახავს ქართველი კაცის სატკივარსა და წუხილს, პიროვნების ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს, ცხოვრების არსში გარკვევის ცდას — ყოველივე იმას, რომლებიც შემოქმედის პროზაულ ნაწარმოებებს ერთიან რკალში აქცევს.

შეიძლება, კატეგორიულად გაცხადდეს, რომ თამაზ ჭილაძის სახით თანამედროვე ქართულ დრამატურგიას დიდებული წარმომადგენელი ჰყავდა. მისი პიესები („მკვლელობა“, „დავიწყებული ამბავი“, „ბუდე მეცხრე სართულზე“. „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ჩიტების ბაზარი“, „ნახვის დღე“, „თავფარავნელის ბალადა“, „სამოთხის კვარტეტი“, „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“, „ნადირობის სეზონი“, „ქალას ჩიტი მომკვდარიყო“...) თავიანთი მხატვრული ღირებულებებით და ეთიკური პრობლემატიკით უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებებს წარმოადგენს. თამაზ ჭილაძემ ჩვენს სინამდვილეში პირველმა დაამკვიდრა ეპიკური დრამის სინთეზური ფორმა და გაამდიდრა იგი შინაგანი მონოლოგებით, ლირიკული აღსარებით, ახალი სამეტყველო ფორმების შექმნით, რეტროსპექციითა და ინტროსპექციით. როგორ შეიძლება, აქვე არ მოვიხსენიოთ თამაზ ჭილაძის დიდი ამაგი და ძალისხმევა ბიჭვინთა-ქობულეთის დრამატურგთა მუდმივმოქმედი სემინარის დაარსებაში.

მწერლის ესეისტიკა, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები გვხიბლავს აზროვნების მასშტაბურობით, სიღრმით, პლასტიკურობით. თამაზ ჭილაძე ერთნაირი ძალმოსილებით წერდა ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, თეატრზე...

თამაზ ჭილაძის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, უკრაინულ, იტალიურ, ჩეხურ, სლოვაკურ, სერბულ, უნგრულ, ბულგარულ, პოლონურ, თურქულ, სომხურ, ესტონურ, ლატვიურ, ლიტვურ, რუსულ ენებზე.

თამაზ ჭილაძის მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი შარვაშიძის სახელობის, გერმანიის რადიოს პრემიები, „ოქროს ნიღაბი“ — რუსთავის თეატრალურ საერთაშორისო ფესტივალზე. მისი სახელი შეტანილია ისეთ პრესტიჟულ გამოცემებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიური ცნობარი „ვინ ვინ არის“ (ლონდონი), ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ცნობარი (ბელგია). 1999 წელს კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა თამაზ ჭილაძე 1999-2000 წლების „საერთაშორისო ადამიანის“ წოდების ნომინანტად დაასახელა; დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, მინიჭებული ჰქონდა პოეზიის რაინდის საპატიო წოდება.

ჩვენთვის ყოველთვის საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ თამაზ ჭილაძე მუდამ ხმალამოღებული ებრძოდა ცუდად გაგებული კოსმოპოლიტიზმისა და ყბადაღებული ნიჰილიზმის ნებისმიერ გამოვლინებას და მაგალითს წარმოაგენდა განათლებული, გაწონასწორებული, შორსმჭვრეტელი, მომავლისკენ მზერამიმართული ქართველობისათვის.

აი, ასეთი შემოქმედი და ერისკაცი დაკარგა ქართულმა სამწერლო ოჯახმა, სრულიად საქართველომ. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მისი ნააზრევი სამუდამოდ გაჰყვება სულიერ საზრდოდ მის მშობელ ქვეყანას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

სანთელი



გარდაიცვალა დიდი ქართველი კლასიკოსი, პოეტი და დრამატურგი, სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბატონი

## თამაზ ჭილაძე

პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველები“ დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით უსამძიმრებენ ოჯახს და სრულიად საქართველოს მისი სასიქადულო შვილის, მრავალმხრივი შემოქმედისა და ღირსეული პიროვნების დაკარგვას.

თამაზ ჭილაძე შეუერთდა მარადისობას თავის ძმასთან ოთარ ჭილაძესთან ერთად!

მარადიული ხსოვნა მათ!

„არ დამცდენია არც ერთი სიტყვა
არც სინანულის, არც სამდურავის
და თუკი ღმერთი ჩემს ამბავს გკითხავთ,
ნუ გაამტყუნებთ ღმერთთან ნურავის“.

**თამაზ ჭილაძე**

---

კიდევ ერთი საამაყო შვილი დააკლდა საქართველოს!
87 წლის ასაკში გარდაიცვალა

## თამაზ ჭილაძე

— მწერალი, პოეტი და დრამატურგი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და მრავალ სხვა ენაზე.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი თამაზის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

ხსოვნა



მეუღლე ქეთევან შერვაშიძე, შვილები ვანო, კოტე ხოფერიები, და ნინო ხოფერია ოჯახით, შვილიშვილები სანდრო, ნინო, ქეთევანი, რძლები მარეხ კოპაძე, გურანდა დათაშვილი ოჯახით, მძახლები ნაირა მედოიძე, იოსებ კოპაძე ოჯახით, დეიდა გენრიეტა ვანიძე ოჯახით, ბიძაშვილები ნუკრი, მირანდა ოჯახებით იუწყებიან

## ავთანდილ ხოფერიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 2, 3 X, 16 სთ, გამოსვენება 4 X, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას V კვარტალი, II კორპუსი, X სადარბაზო, VII სართული.

# ქუთაისში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

**ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოს ტერიტორიაზე მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 45 წლის მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. მას თავის არეში ორი ტყვია აქვს ნასროლი. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები გვიანობამდე მიმდინარეობდა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# თბილისში, გოთუას ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

**არსებული ინფორმაციით, მამაკაცს 2 ჭრილობა აქვს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული.**

დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა. მას ოპერაცია დასჭირდა. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა სტაბილურია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებამ გამოძიება ორი მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.





## ირმა ინაშვილი:

# გაოცებული ვარ ზაზა ოქუაშვილის ნაცური განცხადებებით!

**პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის მიერ „რუსთავი-2“-ის ეთერში გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება და წერს:**

ქალბატონი ნატო ჩხეიძე და ბატონი ზაზა ოქუაშვილი ჩვენს პარტიაში მოვიდნენ თავისი ინიციატივით. მოვიდნენ 2016 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც ბატონმა ზაზამ თავად განაცხადა, მოვიდნენ გულწრფელად და ჩვენც გულწრფელად მივიღეთ!

ქალბატონი ნატო და ბატონი ზაზა, ეს არ არის ორი ადამიანი, ეს საკმაოდ დიდი გუნდია და ამ გუნდმა 2016 წლის არჩევნებისას თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი პარტიის საარჩევნო კამპანიაში. ვიღაცამ ფინანსური შემოწირულობა გაიღო, ვიღაცა საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა, ვიღაცა ტელეეთერით გამოდიოდა, ვიღაცა საარჩევნო პლაკატებს აკრავდა და ასე შემდეგ.

ცხადია, საარჩევნო კამპანიაში უამრავი სხვა ადამიანიც მონაწილეობდა, რომელსაც არავითარი კავშირი „ომეგა ჯგუფთან“ არ ჰქონდა. სხვამაც გაიღო შემოწირულობა, სხვაც მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში და სხვაც არიგებდა სააგიტაციო მასალას.

არჩევნების შემდგომ პერიოდში პარტიას უამრავი აქტივობა ჰქონდა, უამრავი საპროტესტო აქცია, შიმშილობის აქცია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ხელმოწერების შეგროვება და სხვა... პარტიის აქტივობებში, როგორც მონაწილეები, ყოველთვის მონაწილეობდნენ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში, არც ქალბატონ ნატოს და არც ბატონ ზაზას, არც მათი მხრიდან რომელიმე მხარდამჭერს ფინანსური თანამონაწილეობა არ გაუღია და ბატონი ზაზაც თავად ადასტურებს ამას თავისსავე ინტერვიუში.

აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არც პარტიას არ შეუწუხებია არც ქალბატონი ნატო და არც ბატონი ზაზა ფინანსური მხარდამჭერის არანაირი მოთხოვნით. ბატონი ზაზა აჭარაში დეპუტატია, პარტიის აჭარის ოფისში მხოლოდ ერთხელ იყო მოსული, დაინტერესდა საარენდო გადასახადის მოცულობით, ბრძანა, რომ აქვს სურვილი რაღაცა დახმარების გაწევის, შემდეგ ოფისს დაემშვიდობა და იქ აღარასდროს მისულა. არც რაიმე დახმარება გაუწევია და არც პარტიას მოუთხოვია მისგან რაიმე. ჩვენ ტელევიზიიდან გავიგეთ, რომ ბატონმა ზაზამ ორი ავტომობილი აჭარაში ხელისუფლების წარმომადგენლებს აჩუქა, რამაც გაგვაოცა.

სიმართლე გითხრათ, არ მეჩვენება დამაჯერებლად, რომ ბიძინა ივანიშვილი (ან ვინმე სხვა ზაზა) ოქუაშვილს ესაუბრა ჩვენი პარტიის დაფინანსებაზე. არასდროს, არც როცა ქალბატონი ნატო და ბატონი ზაზა მოვიდნენ პარტიაში, არც წინასაარჩევნო პერიოდში, არც საპარლამენტო თანამშრომლობისას, კვლავ ვამბობ: არასდროს მათ ჩვენთვის მსგავსი რამ არ უთქვამთ. გაუგებარი და გასაკვირია, რა იყო აქ დასამალი, თუ ასეთი რამ მოხდა?

მეტიც, თქვე დალოცვილებო, ჩვენ არასდროს მოგვითხოვია თქვენგან დაფინანსება, არასდროს არაფერი გვითხოვია და გასაოცარი არაა, რომ ჩვენ არ გთხოვთ დაფინანსებას და ვიღაცა სხვა გთხოვთ ჩვენს დაფინანსებას?! მოვითხოვ, რომ ქალბატონმა ნატომ და ბატონმა ზაზამ საჯაროდ დაადასტურონ, რომ ჩვენ 2 წლის მანძილზე არასდროს არ გვითხოვია მათთვის არანაირი დაფინანსება. თუმცა, რომ გვეთხოვა, რატომ იქნებოდა ეს გასაკვირი, ისინი, ხომ, ჩვენი პარტიის დეპუტატები იყვნენ?! კვლავ ვიმეორებ: ჩვენ არასდროს გვითხოვია დაფინანსება და რატომ უნდა დავიჯერო, რომ ვიღაცა სხვა ნატო ჩხეიძესა და ზაზა ოქუაშვილს სთხოვდა ჩვენს დაფინანსებას?! და თუ, დავუშვათ, ხაზს ვუსვამ, დავუშვათ, ეს ასე იყო, ჩვენ რატომ არ გვითხარით?! ორი წელია, ერთ პარტიაში ვართ. მე და ქალბატონი ნატო პარლამენტში გვერდიგვერდ ვსხედვართ, პარტიის თათბირებზე ერთმანეთს ვხვდებოდით, თქვე დალოცვილებო, თუ ასეთი ამბები ხდებოდა, ჩვენ რატომ არც ერთხელ არ გვითხარით?!

პარტიაში განიხილებოდა ქალბატონი ნატოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის საკითხი. ეს თავად ქალბატონ ნატოსაც სურდა. საარჩევნო პროცესის დაფინანსებაზეც ვსაუბრობდით... და ქალბატონ ნატოს თავისსავე საპრეზიდენტო არჩევნების დაფინანსებაზე საუბრისას აინტერესებდა, — პარტია რა ფინანსურ წვლილს შეიტანდა ამ საქმეში, ანუ აქ თანადაფინანსებაზე იყო საუბარი.

კვლავ ვამბობ: მეც თქვენსავით მოვისმინე ინტერვიუ ზაზა ოქუაშვილთან, ამ ფაქტების შესახებ არაფერი ვიცი იმაზე მეტი, რაც თქვენთან ერთად ტელეეთერით მოვისმინე. პირდაპირ ვამბობ: მე და ჩვენს პარტიას ამ ფაქტების შესახებ დასაწყისშივე რომ გვქონოდა ინფორმაცია, ვარწმუნებ ბატონ ზაზასაც და ქალბატონ ნატოსაც, ვიმოქმედებდით და უფრო უკეთ ვიმოქმედებდით, ვიდრე ახლა ბატონი ზაზა მოქმედებს ნაცმოძრაობასთან და „რუსთავი-2“-თან ერთად.

კიდევ ერთი რამ, რაც გამახსენდა 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით: წინასაარჩევნო პერიოდში ქალბატონმა ნატომ გვითხრა, რომ ძალოვანი სტრუქტურის რომელიღაცა მაღალჩინოსანმა დაბეჯითებით ურჩია ჩვენს პარტიასთან ურთიერთობის გაწყვეტა. ცხადია, მე შევეხმიანე ხელისუფლებას. მათ, ვისთან ერთადაც წლების მანძილზე მიტინგებზე ვიდექი და შევეხმიანე ძალიან გაბრაზებული. არავინ არაფერი იცოდა. ვფიქრობ, ვიღაცის თვითშემოქმედებასთან გვქონდა საქმე. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი გასაჯაროვდა და როგორც ქალბატონმა ნატომ გვითხრა, თვითშემოქმედებაც შეწყდა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონმა ზაზამაც და ქალბატონმა ნატომაც ბრწყინვალედ იციან, რომ არც ჩვენს პარტიას და არც ჩვენს გუნდს არავითარი შეხება არა აქვს იმ მოვლენებთან, რა მოვლენებზეც ბატონი ზაზა საუბრობს. მე არ ვიცი, რა არის იქ სიმართლე და რა არის ტყუილი. მე ვიცი, რომ ბატონი ზაზას განცხადება იმის თაობაზე, რომ მას ჩვენი პარტიის დაფინანსებას ვინმე ავალებდა, არ უნდა იყოს სიმართლე. ვიმეორებ: ჩვენ არ ვთხოვდით მათ დაფინანსებას და სხვა რატომ მოთხოვდა? მეტსაც ვიტყვი: ერთადერთი, ვისაც აწყობს დღეს მსგავსი განცხადება, სწორედ სააკაშვილი და ნაცმოძრაობაა. თუმცაღა, ბატონი ზაზა თავისი ინტერვიუს ფინალში ღიად უცხადებს მხარდაჭერას სწორედ ნაცმოძრაობას, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვამბობ: ძალიან მიკვირს ბატონი ზაზასგან ჩვენი მისამართით გაკეთებული ეს განცხადება. ამ ეტაპზე სხვას არაფერს ვიტყვი. ველოდები, რომ ბატონი ზაზა და ქალბატონი ნატო საჯაროდ დაადასტურებენ, რომ არასდროს არც პარტია და არც ჩვენი გუნდი ზოგადად მათთან მიმართებაში უზნეოდ არ მოქმედებდა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## 1 იანვრიდან საქართველოში
# პენსიები იზრდება

**20 ლარით მოიმატებს ხანდაზმულობის და სხვა სახის პენსიები, იმ პირებისთვის, ვისთვისაც სახელმწიფო გასაცემლები 560 ლარს არ აღემატება.**



**ცვლილებით ხანდაზმულობის პენსია 180 ლარიდან 200 ლარამდე გაიზრდება. ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტი 2019 წელს 1.925 მლრდ ლარს დახარჯავს. პენსიების შემდგომი, 20 ლარით ზრდა 2020 წელსაც არის დაგეგმილი.**


# 100 წლის გაზეთი
## თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6151; ევრო - 3.0306;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4130;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4355;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5426;
1000 სომხური დრამი - 5.4255.

**ამინდი 2 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +11, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +25 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +17, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +27 |
| თბილისი: | ღამე +16, | დღე +25 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge